

მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი

გიორგი ჩუბინაშვილის¹.

მცხეთის აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირას, ჰალალ კლდეზე საქართველოს მოქცევის დროიდან (IV საუკუნიდან) აღმართული იყო ჯვარი, რომელიც დიდ თაყვანისცემაში იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთშიაც. გარდმოცემით მირიან მეფემ აღჰმართა აქ ერთი იმ სამ ჯვართაგანი, რომელიც მან შეაკრეფინა². სიღალის გსე

¹) აღნიშნული გამოკვლევა უკვე დაიბეჭდა გერმანულ ენაზე: Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst von Prof. Dr. Georg Tschubina-schwili. Erster Band. Erstes Heft: Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha. Verlag der Staatsuniversität zu Tiflis, 1921.

²) მოქცევაჲ ქართლისაჲ შატბერდისა და კელიშის ხელთნაწერების მიხედვით: Е. С. Такашвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинскаго населения, томъ II, Тифлисъ 1906—1912, стр. 713-714, 787-792, 793-795, 800-801 (მარტო შატბერდის ხელთნაწერის მიხედვით კი: ექვ. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფილისი 1891, გვ. 55-59, 60-63, 69-70). მე-XIV თავი მოიპოვება აგრეთვე როგორც ცალკე «საკითხავი»: მოსე ჯანაშვილმა დაბეჭდა ასეთი «საკითხავი» საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერის № 144 (მე-X საუკ.) მიხედვით გაზეთ «ივერია»-ში, 1898 წ. № 190—191. იგივე თქმულება შეტანილია ქართლის ცხოვრების ტექსტში, ე. ი. დიკონტის მროველის ნაწარმოებში (მარი ბროსსეს გამოცემა, სპბ. 1849 წ., გვ. 93-95; ე. თაყაიშვილის გამოცემა მარიამ დედოფლის ვარიანტისა, ტფილისი 1906, გვ. 100-103; Histoire de la Géorgie, tome I, traduit par M. Brosset, St.-Petersbourg 1849, pp. 121-124). ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ (ცხოვრობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში) გადაკეთებულს სვეტი-ცხოვლის საკითხავში პირდაპირ არის ნათქვამი ოთხი ჯვრის გაკეთების შესახებ (საქ. სამ., 99₂₄; მაგრამ 100₁₈ ისევ სამია). მთელი მისი მოთხრობა შეკეთებულია (საბინინი, საქართველოს სამოთხე, სპბ. 1882 წ., გვ. 98-101) ვ. კარბელაშვილი, საკითხავი სუპტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლო-სა და კათოლიკე ეკლესიისა, ტფილისი 1908 წ., გვ. 90-95). მაგრამ ტექსტი სულ ერთიანად შეცვლილია არსენ კათალიკოზის მიერ XIII საუკუნეში. სადაც მოკლედ არის მოხსენებული ოთხი ჯვრის ამალღება (ვ. კარბელა-

სასწაულოა ეს ზეცისათა ჩუენებული ნატიოსანი ჯვარი მცხეთისაჲ აღვიწუ-
რით გელითა კაცობრივითა და მივედით ბორცუსა მას ქუეშე წყაროსა მას
'ზედა... და ხვალის დღს' აღვედით კლდესა მას ზედა... და დასდვა გელი
წმიდამან ნინო ერთსა ქვასა.. და შუენ აღჭმართეს ჯვარი იგი დიდებით შეყფთა.

რაც შეეხება თვით გარდმოცემას მცხეთის ჯვარის აღმართვისათვის
ნინოსა და მირიანის დროს, პროფ. კორნელი კეკელიძემ შე-
დარებითი ანალიზით ნათელ ჰყო, რომ ის გადაკეთებულია იმპერატორ
კოსტანტინე დიდის მიერ აღმართული ჯვრების შესახებ არსებულ
თქმულებათა და სხვათა მსგავსად². ამას გარდა თვით პირდაპირი ცნო-
ბები, რომელიც დაცულია «ქართლის მოქცევის» ქრონიკაში და წმ.
ნინოს ცხოვრების უძველეს ვერსიებში, საკმაოდ მდიდარ მასალას იძლე-
ვა იმის გამოსარკვევად, თუ როგორის თან-და-თანობით მუშავდებოდა
თვით ფაქტი ჯვარის აღმართვისა, საფუძვლად რომ უდევს ზემოხსენე-
ბულ თქმულებებს. ამ მხრით მეტად საგულისხმოა ის, რომ სომხური
(VII საუკუნის დასასრულის) ცნობებით მირიანის დროს აღმართული
იყო სამი (რსუ. ოთხი) ჯვარი კი არა, არამედ მხოლოდ ერთი, სახელ-
დობრ «ქალაქის აღმოსავლეთით, მშვენიერ ბორცვზე, რომელიც აგრეთვე
ცალკეა გამოყოფილი მომცრო მდინარით». ამასთანავე ნათლად არის
ნათქვამი, რომ ჯვარი აღმართული იყო თაყვანის საცემად ნაცვლად
კერპებისა³.

შვილი. ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კა-
თალიკოზის მიერ: გამ. საეკლესიო მუზეუმისა, ტფილისი 1902 წ., გვ. 38-39).

1) Е. Такайшвили, Опис., II, стр. 791-792.

2) В. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII вѣка, Тифлисъ 1912,
стр. 239-245.

3) ეს ცნობები მოყვანილია მოსე ხორენელის სომხეთის ისტორიის
II წიგნის მე-86 თავში (იხ. ფრანგ. თარგმანი Victor Langlois-სი. Collection
des historiens anciens et modernes de l'Arménie, t. II, Paris 1869, p. 126), რომელიც
სხვათა შორის ამ თავის მიხედვითაც (სადაც ივერიის მოქცევაზეა ლაპა-
რაკი) მე-VIII საუკუნის ნაწარმოებად ითვლება თანახმად აკარიერის და გ-
ხალათიანცის გამოკვლევებისა (A. Carrière, Nouvelles sources de Moïse
de Khoren (études critiques), Vienne 1893, p. 47 et VII; Г. Халатьянцъ
Армянскій эпосъ въ исторіи Арменіи Моисея Хоренскаго, Москва 1896, т. I,
с. 35; Армянскіе Аршакиды въ исторіи Арменіи Моисея Хоренскаго, Москва
1903, т. I, с. 376-377; ср. Н. Адонцъ, Армения въ эпоху Юстиніана (Тек-

ჩვენ გარკვეული ცნობა გვაქვს პატიოსანი ჯვრის შესახებ ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში, რომელიც დაწერილია თანამედროვის მიერ მე-VI საუკუნის მეორე ნახევარში¹. ჯვარი მაშინ თავისუფალ აღგილას იყო აღმართული. როდესაც 544-545 წელს² ევსტათი და სტეფანე ტფილისში დაიბარეს მარზპანთან მათი მოძმე სპარსელების ჩაგონებით, ისინი გამოეთხოვენ მშობლებსა და ნათესავებს და გაემგზავრენ მცხეთიდან მცველების თანხლებით. და ვითარ წიაღკდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარისა მცხეთისას, აღაპურნა კელნი წმიდამან ევსტათი და თქუა... ვითარცა ესე სიტუა თქუა ნეტარმან ევსტათი, ჯუარსა თაუჟანის-სცა და თქმნა კრებულისა მისგან და წარკმარანეს ტფილისს³. აქ გარკვეულად არის

შარასკვი (მარიამ დედოფლისეული ქართლ. ცხ., 197 და Chronique arménienne, t. 1. Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, SPbg. 1851, p. 47).

¹) ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი I, ტფილისი 1916, გვ. 4; ქართველ ერის ისტორია, I, ტფ. 1913, გვ. 196. Adolf Harnack-ი თავის შენიშვნებში ევსტათი მცხეთელის ცხოვრების თარგმნის შესახებ (Dschawachoff. Das Martyrium des heiligen Eustasius von Mzchetha (Aus dem Georgischen übersetzt) in: Sitzungsberichte der kgl. preussischen Akademie der Wissenschaften, Berlin 1901, Bd. XXXVIII, pp. 896-897) ამბობს, რომ ის შედგენილი უნდა იყოს 600 წლის მახლობლად და იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ევსტათის წამების შემდეგ მაშინვე არ ყოფილა შედგენილი, და არც 600 წელზე უფრო ადრე (გვ. 896, § 3 და 4), მოწყავს ორი მოსაზრება თვით ტექსტის შესახებ. არც ერთი მისი მოსაზრება ჩვენ დანარწმუნებელად არ მიგვაჩნია. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა თავისი «მეთოდების» მეორე გამოცემაში (ტფ. 1921) ევსტათის ცხოვრებას უძღვნა მთელი თავი, სადაც იმ დასკვნამდე მიდის, რომ «ძველის თავდაპირველი დედანი თანამედროვის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ შემდეგ, იქნებ იმავე მე-VI საუკუნის დასასრულს ან მე-VII ს. დამდეგს მოთხრობაში ცვლილება შეუტანიათ» (გვ. 32), ე. ი. მას შემდეგ, რაც სპარსეთში «გაბატონებული იყო ნესტორიანობა და მონოფიზტური ქრისტიანობა» (გვ. 31), რომლებიც საქართველოში «წყეულ და შეჩვენებულ» იყვნენ და «სარწმუნოების თვალსაზრისით საბიფათოდაც-კი» მიაჩნდათ.

²) იხ. თავი 1 და 12 ცხოვრების გერმანული თარგმანისა, რომელიც შესრულებულია ტფილისის საეკლესიო მუზეუმის № 176 ხელთნაწერის მიხედვით, გვ. 876 და 881 (აგრეთვე 895), ან საქართველოს სამოთხე, გამოც. გობრონ საბინინის მიერ, სპბ. 1882, გვ. 313, 315.

³) საქ. სამ., გვ. 316.—გერმანული თარგმანი (თავი 13), გვ. 882.

ნათქვამი, რომ ეს იყო «ნიში» ანუ «ხატი» — პატიოსანი ჯუარი — და იგი ეკლესიაში კი არ ყოფილა აღმართული, არამედ ცის ქვეშ, თავისუფალ ადგილას. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის იმის გამოსარკვევად, თუ როდის არის აშენებული თვით ტაძარი¹.

შემდეგი ცნობა კი ამტკიცებს, რომ ჯვრის ადგილას უკვე ტაძარი იყო აგებული: ქართლის კათალიკოზის ჟირიონის მიწერ-მოწერაში, რომელიც მას გამართული ჰქონდა სომხის აბრაჰამ კათალიკოზთან ორივე ქვეყნის ეკლესიის განყოფის წინ 607-609 წლებში, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარში თაყვანისაცემად მოდიოდნენ გარდა ქართველებისა სომხებიც².

პართლაცდა მცხეთის ჯვარი შეუძლებელია დიდ ხანს დარჩენილიყო თავისუფალ ადგილას ცის ქვეშ, როგორც ეს თავში იყო. ასეთ პატიოსან ჯვარს კულტურული ზრდის შემდეგ პირველ შემთხვევისთანავე — კულტურის აღორძინების პირველ ხანებშივე — უნდა მიეღო ღირსეული სამკაული. შეუძლებელია ყველაზე უფრო მალა დაეყენებიათ ძველი დროის ტრადიციები; ყველაფერი იცვლებოდა და ეგუებოდა ეპოქის ახალ აზროვნობას. ასეთი გარდატეხის ხანა. უეჭველია, დადგა მას შემდეგ, რაც VI საუკ. პირველ ნახევარში მოისპო საქართველოში მე-

¹ როდესაც ივ. ჯავახიშვილი სწერს (Термины искусства... в древне-грузинской литературе: Христианский Востокъ, т. III, 1914. с. 22): наиболее известнымъ и въ то же самое время [наиболѣе?] древнимъ храмомъ такого рода [именно крестообразнаго въ планѣ] былъ «*ჯუარი მცხეთისა*», который упоминается въ житіи Евстафія Мцхетскаго (р. церк. м. № 176, л. 174-196). არ მოჰყავს ტექსტის ადგილი: არ არის ნაჩვენები, თუ ხელთნაწერის რომელ ფურცელს ან დაბეჭდილი ტექსტის რომელ გვერდს ეკუთვნის მის მიერ ნაჩვენები ადგილი; აღნიშნულია მხოლოდ ხელთნაწერის ის გვერდები, რომელიც მთელ ცხოვრებას უჭირავს; თუმცა ქართველ ერის ისტორიაში ციტატები მას მოჰყავს დაბეჭდილი ტექსტიდან.

² *Գիրք թղթոց (Սահակ Մեսրոպեան Մատենադարան. Ե). Թիֆլիս 1901*, გვ. 164, 178, 194 და უხტანესი (*Պատմութիւն բաժանման Արոց Ի Հայոց, Վարդապետ 1871*), გვ. 74, 89, 90, 130, 136 = traduction française (M. Brosset, Deux historiens arméniens. 2-e livraison. SPH. 1871), pp. 321, 329, 330, 349, 351.

ფობა და შემოვიდა მთავრობა¹. მართლაც «მოქცევაჲ ქართლისაჲ»
გადმოგვცემს, რომ პირველმა მთავარმავე გუარამმა მცხეთის ჯვართან
ააგო ტაძარი². მართლაც ის ფაქტი, რომ გუარამმა ააგო ტაძარი ამ
წმიდა ადგილას, საქართველოს სწრაფი კულტურული ზრდის მაჩვენებელია.
ხოლო ეს კულტურა და ქვეყნის კეთილდღეობა კიდევ უფრო
სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ VI და VII საუკუნეების ჯვარედინზე,
როდესაც უკვე გუარამის შვილს სტეფანოზს არ აკმაყოფილებს
თავისი მამის ნაღვაწი; იგი იწყებს ახალი შენობის აგებას და თავისი
მამის შენობის გვერდით აგებს დიდ ტაძარს ადგილობრივის, კავკასიის
ქრისტიანული ხუროთმოძღვრების უკანასკნელი მოთხოვნების მი-
ხედვით.

ამ შრომაში ჩვენ განზრახული გვაქვს ორივე ძეგლის ანალიზი კი
არა, არამედ მხოლოდ პირველის, მცირე ტაძრისა, რომელიც ჩვენის
აზრით გუარამის მიერ არის აშენებული³, რის დამტკიცებასაც მე შე-
ვეცდები ქვემოთ, სადაც განხილულია ტაძრის ხუროთმოძღვრული
თვისებანი და გარჩეულია ლიტერატურული გარდამოცემანი საზოგადოდ
მცხეთის ჯვრის აშენების შესახებ.

¹) შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წიგნი I, ტფი-
ლისი 1913, გვ. 196.

²) პროფ. კორნ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს მცირე ტაძარი, რომელიც დიდი ტაძრის ჩრდილოეთით არის აგებული, გოლგოთის ტაძრად იწოდება. ეს — როგორც პირადად გადმოგვცა — მან ადგილობრივ გამო-
არკვია. მთელი ეს მთაც გოლგოთის სახელს ატარებდა (къ вопросу объ иерусалимскомъ происхожденіи грузинской церкви, с. 7). იგივე სახელწოდება მოჰყავს ა. ნატროშვილსაც (Михеть и его соборъ Свѣти-Цховели, Тиф-
ლისь 1901, с. 17). ეს სახელწოდება გვხვდება ჩვენ წმ. ნინოს ცხოვრების ქე-
ლიშის ვარიანტში, სახელდობრ მირიანის წერილში, რომელიც მან სიკვდი-
ლის წინ დასწერა, სადაც ნათქვამია სასწაულზე ადგილსა მას ზედა გოლ-
გოთას, რომედსა ზედა ადვმართე ჟუარი (Опис., II, 801).

³) ორივე ტაძრის ზოგადი სურათი აღმოსავლეთის მხრიდან გადმოღებულია ივ. ჯავახიშვილის წიგნში — ქართველ ერის ისტორია, I², ტფ. 1913, ტაბულა ad p. 244. ერმაკოვის ფოტოგრაფიის კოლექციიდან.

სურათების ტაბულები ამ წერილს რომ თან ახლავს, გადმოღებულა იმ ნახაზებისაგან, რომლებიც 1918 წლის შემოდგომაზე შეასრულეს სამოქალაქო ინჟინერებმა ნ. პ. სევეროვმა და აწ განსვენებულმა მ. ე. კერნმა და სამ. საინჟ. ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ი. იაბოვმა. შენობები გაზომეს ხსენებულმა პირებმა საკუთარი სურვილით, ხოლო მათი ნამუშევარი კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტმა შეიძინა¹. ხსენებულმა პირებმა ვერ შესძლეს ყველა დეტალის შესრულება, რადგანაც მუშაობის დროს სხვა-და-სხვა დაბრკოლების გამო ცუდ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. ეს ეხება განსაკუთრებით მცირე ტაძრის შენობებს. ამიტომ ჩემს მოვალეობად გთვლი დიდი მადლობა გადაუხადო ბ-ნ სევეროვს, რომელმაც 1919 წლის დეკემბერში და 1920-ის აპრილში ჩემი თხოვნით ხელშეორედ გაზომა შენობათა ზოგიერთი ნაწილები და სათანადოდ შეასწორა ნახაზები².

1) ინსტიტუტის მეცნიერ წევრთა 1919 წლის 22 ნოემბრის დადგენილების ძალით (§ 57) მე ვისარგებლე იმ ნახაზებით, რომელიც გუარამის ეკლესიას ეხება.

2) ამისი შესრულება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. მაგრამ რადგანაც ზოგიერთი ტაბულის კლიშე უკვე დამზადებული იყო. ამიტომ შესწორებათა შეტანა ყველა ტაბულაში ვეღარ მოხერხდა. მაგალითად, სამხრეთით მდებარე აკლდამის მიმართულება. უკვე საბოლოოდ გამორკვეული, აკლდამების გეგმაში (ტაბულა II) კი მოვასწარიტ რომ შეგვეტანა, მაგრამ განაკვეთებზე (ტაბ. III და IV) დაახლოვებით ნაჩვენები დარჩა, რაიც გამოხატულია პუნქტირის საშუალებით. ამგვარადვე დაგვრჩა რამდენიმე ნაკლი ნახაზებში, სახელდობრ:

I ტაბულაზე: 1) არ არის შესწორებული საყდრის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე, რომელიც ძალიან არის სამხრეთისაკენ გაზიდული; 2) ჩრდილოეთის სტოას ჩრდილო-დასავლეთის კოლონას ჩამონატებს ნახაზზე დიამეტრი ნაკლები აქვს, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთის კოლონას, თუმცა ნამდვილად კი ასინი ორნივე თანასწორები არიან (19 სანტამ.); 3) არ არის ნაჩვენები არცა (კამარა) ჩრდილოეთის სტოას ჩრდილო კედელზე.

V ტაბულაზე: 1) სარკმლის ქვემო ნაწილი ნამდვილად ორ-საფეხურიანია, ნახაზზე ნათლად არა ჩანს; 2) კარის ტიმპანის სწორი ხაზი არ არის ნაჩვენები, და გამოდის, რომ ვითომც კამარა ღია იყოს; 3) საყდარში შემავალი ბუხის პაწია საფეხური არ არის აღნიშნული.

I.

მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი წარმოადგენს პატარა შენობას ჯვარის სახასას. კედლებზე მას აქვს ორი სპეციალური სტოა. ტაძარი აღმართულია მაღალ კლდეზე მცხეთის სვეტი-ცხოვლის აღმოსავლეთით. ეკლესიის წინ აღმოსავლეთითა და სამხრეთით ფართო, ღია მოედანი იყო. ამ ქაზად ტაძრის სამხრეთით დიდი ტაძარია აღმართული და მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება თავისუფლად მისვლა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრით შენობა კლდის ნაპირას დგას და მისი შემოვლა აქ მხოლოდ მცირეოდენ მანძილზე შეიძლება (1-2 მეტრის სიგანეზე).

ტაძარი აშენებულია დიდი ზომის ოთხკუთხი თლილის ქვით რომელიც მწვანე ფერის სილაქვას წარმოადგენს. კედლები ერთიანად მთელ-მთელი ქვისაგან არის აშენებული. ახლა, მაგალითად, აღმოსავლეთის მხრით ზოგიერთ ადგილას ჩამონგრეულია გარე ქვები და ჩანს, რომ კედლები საზოგადოდ მთლიანი ყოფილა და ქვებს შუა სქელი კირი ყოფილა ჩატანებული. რაც შეეხება სხვა-და-სხვა რიგებს, ხშირად არ ჩანს, რომ მათ შორის შესაერთებლად კირი ყოფილიყოს ნახმარი, ესე იგი კედლები გარედან თითქმის მშრალად ნაშენები ჩანს¹. ალაგ-ალაგ ქვების კედლები ჩათლილია ისე, რომ წყობასა და წყობას შუაღარი ისახება: ეს ჩვეულებრივი მოვლენაა კავკასიის ძველ შენობებში.

ტაძრის შიდა კედლების ზოგიერთ ქვას ახლაც ემჩნევა ქვის მთლელთა ნიშნები:



ტაძრის გარე კედლებმა ქარის მიერ გაცრეცის გამო ვერ შეინარჩუნა ქვის მთლელთა ნიშნები. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირ-

¹) ეს მოვლენა დამახასიათებელია ატენის სიონის ძველი ნაწილებისათვისაც.

ველი სამი ნიშანი დად-ძალი გვხვდება და სხვა-და-სხვა მიმართულებით არის დაწყობილი კედლებზე. დანარჩენი კი მხოლოდ თითოჯერ გვხვდება: მეოთხე და მეხუთე ტაძრის შიგნით სამხრეთის კედელზე, კარის დასავლეთით, ხოლო მეექვსე და მეშვიდე ჩრდილოეთის სტოას დასავლეთ ნაწილში (მეექვსე თაღში, ხოლო მეშვიდე დასავლეთის კედელზე).

ტაძარი სტოებთან ერთად აშენებული იყო საგანგებო საძირკველზე, რომელიც ამოყვანილია ისეთივე ოთხკუთხი თლილის ქვებით, როგორც თვით ტაძარი. ზოგიერთ ადგილას საძირკვლის გარე კედელი ოდნავ დახრილია. იგი სავსებით ღიაა დასავლეთის მხრით, ხოლო სამხრეთიდან სრულიად დახურულია, რადგანაც აქ ის უერთდება დიდი ტაძრის საძირკველს (ამ ჟამად აღმოსავლეთის კუთხე კვლავ გარედ ჩანს). აღმოსავლეთით ეს საძირკველი შემდეგ მოუშენებიათ ისე, რომ ის სრულიად დახურულია: მხოლოდ ჩრდილოეთით მიშენებული აფსიდის ჩანგრეულ იატაკში ნათლად ჩანს, თუ როგორ ყოფილა ამოყვანილი ტაძრის საძირკველზე შემდეგ შინაშენები კედელი, რადგანაც მათ შორის ნაპრალია¹.

რადგანაც იატაკი ჩანგრეულია, ადვილად შეიძლება იმის დანახვაც, რომ ტაძარი მარტო ძირითადი ოთხკუთხედით კი არ ყოფილა შემოზღუდული; ის ჩრდილოეთით (და სამხრეთით) შესავალთან მისი საზღვრების იქით ყოფილა გაწეული. ამ გამოწეული ნაწილის საძირკველი ტაძრის ჩრდილოეთით შეერთებული ყოფილა თვით შენობასთან: ეს გარკვევით ჩანს ჩანგრეულ იატაკიდან. თუმცა დიდი ცვლილება მომხდარა სტოას ეკლესიად გადაკეთების დროს, მის საძირკველს რომ ათავებდენ, მაგრამ მაინც ზედმიწევნით შეიძლება განირჩეს, თუ სად გადიოდა სტოის სუბსტრუქციის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის ხაზი. სუბსტრუქციის ჩრდილოეთი ნაწილი უცვლელია.

ტაძრის სტოადა საძირკველები აღმოსავლეთიდან დასავლეთით სიგრძით არ უდრიდა ტაძრისას. ამას ამტკიცებს ზემოთ განხილული ჩრდილოეთის საძირკველი. რომ შევადაროთ იგი სამხრეთისას, იმასვე დავი-

¹) ქვედა ნაწილის ეს დამატებითი მოსახულობა, ჩანს, საფეხურებივით ყოფილა და ამ შემთხვევაში შესაძლებელია იგი შეეფერებოდეს იმას, რომ დიდი ტაძრის იმპოსტიც საფეხურებიანია.

ნახავთ: ახლაც ტაძრის იატაკის სიმაღლეზე ასულა ისე არ შეიძლება, თუ აღმოსავლეთის ფასადის ხაზიდან არ დაიხვეთ. ჩრდილოეთის სტოა თავისი საძირკვლით დასავლეთითაც ვერ აღწევს ფასადის ხაზს, დაახლოვებით იმავე მანძილზე, როგორც აღმოსავლეთით. სამხრეთიდან კი ის აღწევდა ტაძრის დასავლეთის ფასადის ხაზს.

ტაძრისა და სტოათა გარეგანი სუბსტრუქცია შეიცავს შიგნით აკლდამებს, ტაძრის ქვევით, სწორედ მისი შუა ნაწილის გასწვრივ, ახლაც არის ორი მოგრძო ბინა; შესავალი მათ აქვთ დასავლეთით. ჩრდილოეთის სტოას ქვევით არის პატარა ბინა შესავლით (ჩრდილოეთით) და სარკმლით (დასავლეთით). აგრეთვე მოგრძო, მაგრამ ვიწრო ბინაა სამხრეთის სტოას ქვევით: ეს უკანასკნელი ერთად ერთი ბინაა, რომელიც უცვლელად არის დაცული. ის შიგნიდან არის გამოყვანილი ისეთივე ქვებით, როგორითაც თვით ტაძარია აშენებული. დასავლეთით ეს აკლდამა ვერ აღწევს გარე კედელს, რომელიც იმავე ხაზზეა, რომელზედაც ტაძრის დასავლეთის ფასადი, ხოლო ცოტა აღმოსავლეთით მას აქვს საკუთარი კედელი პატარა სარკმლით, საიდანაც შეიძლება აკლდამაში შესვლა. ეს სარკმელი ოთხკუთხია და მის თავზე ამოჭრილია სწორი ადგილი ქვისათვის, რომლითაც ეს სარკმელი იხურებოდა. აკლდამის ქერი ბრტყელია და გრძელი თლილი ქვებისაგან შესდგება; ქვები აკლდამის გარდი-გარდმო არის დაწუობილი. დასავლეთით სამხრეთ აკლდამის დახურულ გასავალში ამოყვანილია პატარა, ოთხკუთხი, ოდნავ მოგრძო ოთახი, რომელიც ძელებით არის სავსე; დასავლეთით მას აქვს სარკმელი, რომელიც ამოშენებულია და გარედან კიბით არის დათარული, და ბრტყელი ქერი, რომელიც ერთ დიდი ქვის ლოდს წარმოადგენს¹.

როგორც ვთქვით, მხოლოდ ეს სამხრეთის აკლდამა არის უცვლელად დაცული; დანარჩენი სამი კი გალესილია ისე, რომ მათ პირვანდელ სახეზე არაფრის თქმა არ შეიძლება. სამივეში ქერი კამარისებურია და ძალიან უსწორ-მასწორო. ორივე ბინას, ტაძრის ქვევით რომ არის, საკუთარი შესავალი აქვს დასავლეთით, ხოლო იმ ბინის შესავალი, უფრო ჩრდილოეთით რომ არის, ქვევით არის გაჭრილი იატაკზე ოდნავ დაბლა:

1) ამ ოთახის სამხრეთი კედელი დასავლეთისას ეყრდნობა, თუმცა მის გვერდზე კარგად არის ნაშენები.

იატაკი კი სამშვივე ერთ სიმალღეზეა. ჩრდილოეთ აკლდამის კარი აქვს ჩრდილოეთით, ხოლო დასავლეთით — სარკმელი. სამივე აკლდამის ყველა სარკმელი შემდეგ არის გაქრილი. ჩანს სამივე აკლდამა თავში დაყრუებული ყოფილა ისევე, როგორც უკიდურესი სამხრეთი და მასასადამე მუდმივი ღია გასავალი არც არსებობდა. ახლანდელი კარები, ალბათ, ქველი დაყრუებული გასავლის ადგილას გასჭრეს; ჩრდილოეთის აკლდამის სარკმელი კი ჩვენის აზრით ახლად არის გაქრილი. შუა აკლდამებში ყველაზე სამხრეთით მდებარე მთლად არ არის გაღვსილი, ამიტომაც შესაძლებელი ხდება, რამდენადაც ქვათა წყობა ჩანს, აგებულების ხასიათის გაგება: ქვები სისწორით არ არის გათლილი და შედარებით ტაძრის წყობასთან, უფრო ნაკლები ზომისაა. ტაძრის ჯვარისებური ნაწილის გასწვრივ ზევით მდებარე ორმაგი აკლდამის ახლანდელი შუა კედელი თანასწორ ნაწილებად არ ჰყოფს აკლდამას. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ შემდეგ ხანებში იგი მხოლოდ ჩრდილოეთით გაიწია; ამ კედელს უთუოდ იმ თავითვე ეყრდნობოდა ქერის ბრტყელი ლოდები.

აღნიშნულ სუბსტრუქციაზე აგებული იყო თვით ტაძარი და მისი ორივე შესავალი: სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. როგორც ზევით იყო მოხსენებული, დარჩენილი ნაწილების საძირკველზე ეტყობა, რომ ტაძარი გეგმაში ჯვრის სახისა იყო და ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტოები ეკლესიის შესავალთა პირდაპირ ხვდებოდა. გაცილებით უფრო ძნელია იმის გამოკვლევა, თუ რა იყო ამ შტოებს ზევით, ე. ი. რა იყო შესავლების წინ. შენობის ეს ნაწილები ძალიან ცუდად არის დაცული — ნაწილი გადაკეთებულია, ნაწილი კიდევ სულ მთლად დანგრეული. სამხრეთის სტოა ხელახლად არის ამოყვანილი: ის ხომ აერთებდა მცირე ტაძარს მის გვერდით (კუთხეში და არა პარალელურად) აღმართულ დიდ ტაძართან, ამ რიგად სტოა ოთხკუთხედს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი გეგმაში ტრაპეციისებურია. მისი კამარა ჯვარისებურია, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ახალი სტოა აგებულია სწორედ დიდ ტაძრის დამთავრების შემდეგ. ამ გასავალს ეკერის დასავლეთით შენობა, რომელსაც სამხრეთით აქვს გასავალი, ხოლო დასავლეთით სარკმელი: ადგილ-ადგილ იგი დანგრეულია და იმავე დროს რავითარი ნიშანდობლივი თვისება არა აქვს, რომ შესაძლებელი გა-

ხდეს იმის გამორკვევა, თუ როდის არის იგი აშენებული. შეიძლება
 ორი რამ ვიფიქროთ: ერთი ისა, რომ ეს ნაწილი სტოისა და აგრეთვე
 უმეტესი ნაწილი კამარისა, რომელიც მიიძარბება პატარა ეკლესიის
 შესავლის დასავლეთის წყვილი კოლონებიდან დიდა ეკლესიის შესა-
 ვლის დასავლეთისავე. წყვილი კოლონისაკენ, ჩავთვალოთ პირვანდელი
 სამხრეთის სტოის ნაშთად¹. ამისი მაჩვენებელი იქნებოდა ის გარემოება,
 რომ გარე სამხრეთი კედელი ამ სტოისა პარალელურად არის ამოყვა-
 ნილი და აგრეთვე ისიც, რომ შენობის ამ ნაწილის თალი, რომლი-
 საგანაც მხოლოდ ძირიდან დარჩენილა, ეყრდნობა ეკლესიის კედელს.
 ამ შემთხვევაში სტოის მთელი დასავლეთი კედელი (ზედირკველს ზე-
 მოთ), რომელიც მიშენებულია ეკლესიის დასავლეთ კედელზე, — და
 არა შეშენებული², — წარმოადგენს შენობის პროცესში პირვანდელი გან-
 ზრახულის შეცვლას, შეცვლას ღია კამარისას³. მეორე ის შეიძლება
 ვიფიქროთ, რომ სტოის ეს ნაწილი აშენებულია შემდეგში, როცა
 აგებული ყოფილა იქვე გვერდით დიდი ტაძარი. ამ შემთხვევაში კი
 კუთხეში, სტოის იქით, თავდაპირველად ტერასა იქნებოდა⁴.

გაცილებით უკეთ არის დაცული ჩრდილოეთის სტოა, თუმცა ისიც,
 როგორც უკვე ვთქვით, საგრძნობლად არის გადასხვაფერებული იმის
 გამო, რომ მას აღმოსავლეთით აფსიდა მიაშენეს და ამ რიგად იგი სა-
 კუთრივ მინაშენად (ეკვდერად) აქციეს: აფსიდა მიშენებულია ტაძრის
 ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (რაც აღმოსავლეთის ფასადიდან ჩანს)⁵.
 ამისათვის საჭირო გახდა საკანგებო თაღზე მიეყრდნოთ მინაშენის კა-
 მარა; ეს თალი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეა გამოყვანილი. თალი

¹) შემდეგში ამ კამარის ქვეშ ამოუყვანიათ კედელი, რომელიც ჰფარავდა
 პატარა ეკლესიის შესავლის ჩუქურთმიან კაპიტლებს, რომლებიც ამის გამო
 კარგად არის შენახული.

²) ამ კედლის სარკმელი ახლა ამოშენებულია.

³) ამ გვარივე მოვლენა (წინად განზრახულის მერმე შეცვლა) მინახავს
 კახეთში, კახთუბნის ხევში, «ყველა წმინდის» ტაძარში, გურჯაანს ახლო.

⁴) ტერასა ყოფილა აგრეთვე გურჯაანის «ყველა წმინდა»-შიც პატრონი-
 კეთა შესავლის წინ დასავლეთით.

⁵) აქ ზევით, ფასადში არის პირვანდელი თალის ქვა: უთუოდ შემთხვე-
 ვით არის ძველი ქვა გამოყენებული საშენებლად.

თავისი მხრით ერთი თვით შესავლის კოლონას ეყრდნობა¹, მეორე კი აფსიდაში თავდება კონსოლის მსგავსად. ეს თალი უსწორ-მასწორია (აღმოსავლეთის თავი დასავლეთისაზე დაბალია) და იმ თალზე უფრო დიდია, ტაძრის შესავალზე რომ არის გადაჭიმული². ახლად აგებული მინაშენის სამხრეთი კედელივით აშენებული იყო, როგორც ეს ჩანს დაკული ნაშთებიდან, ჩრდილოეთის კედელიც. ხოლო კოლონები აქ კედლების ხაზის გარედ იდგა და ამიტომ შემდეგ გაკეთებული სამხრეთ-აღმოსავლეთის დიდი თალის პირდაპირ გაუკეთებიათ ჩრდილო-აღმოსავლეთის თალი უფრო მცირე სიმრგვლისა და მიუმაგრებიათ პირვანდელი სტოის თავისებურ პილასტრას (იხ. გვემა). ამას გარდა აფსიდალურ ნაწილში საჭირო გახდა იატაკის გაკეთება იმავე სიმაღლეზე, რომელზედაც სტოის იატაკია და იატაკს ქვეშ დარჩა ცარიელი სივრცე, სადაც ემჩნევა სწორედ ტაძრისა და სტოის სუბსტრუქციის ის ფორმა, რაზედაც ზემოთ იყო მოხსენებული. თვით ტაძრის შესავალი კოლონებით და საგანგებო თალით არის შემოჩარჩული. ზემოხსენებული თალი შემდეგ გადაკეთების დროს სწორედ აღმოსავლეთის კოლონაზე იყო დაყრდნობილი. ამ ორი კოლონის წინ ჩრდილოეთით იდგა მეორე წყვილი კოლონებისა. ამათგან ჩრდილო-დასავლეთისა დაკულია დღევანდლამდე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. თავის ადგილას ძალიან ბაზისი. ამ რიგად ჩრდილოეთის შესავლის პირდაპირ თითქმის სწორ კვადრატს ჰქმნის ოთხი დიდი კოლონა (თითო 19 სმ. დიამეტრში) თავისი ბაზისებითა და თავებით. სამწუხაროდ არ არის დაკული ამ კვადრატში კამარა, თუმცა, რომ შევადაროთ მისი სამხრეთ-დასავლეთის ქუსლის ქვის შეტად გამოფიტული ფორმები, შესაძლებელია იმის თქმა, რომ კამარა ჯვარისებური იყო, რაც თეორიულად, რასაკვირველია, ბუნებრივია. სტოის კვადრატს დასავლეთით უერთდება პატარა სივრცე, რომელიც შემოზღუდულია კედლებით და გადახურულია სტოის ცილინდრული კამარით, რომელიც პერპენდიკულარად არის მიმართული. ამ სივრცის დასავლეთ კედელში არის დაბლა დაშვებული სარკმელი, საიდანაც ნათლად ჩანს არაგვისა და მტკვრის შესართავი და ქ. მცხეთა. ამ სივრცის დასავლეთის კედელზე და კამარაზე ისეთივე ქვის მთლიანობა

1) ამისათვის შესავლის თალის თავის ნაწილი გადათლილია.

2) იხ. ნახაზი VI.

ნიშნებია, რაც თვით ტაძარში: ზემოთ მოყვანილი ნიშნებთან აქ არის სამი პირველი და გარდა ამისა ორი უკანასკნელი, რომელიც მხოლოდ აქ გვხვდება. პირვანდელ სტოას, ჩანს, ისეთივე აგებულება ჰქონდა შუა კვადრატის აღმოსავლეთით, როგორც დასავლეთით, რადგანაც სუბსტრუქცია აქ თანაბარ სივრცეზეა გამოწეული. რადგან აქედან არ არის დაცული კიბე და პირიქით ნაშენებია გულდადებით, აქედან ცხადია, რომ ასავალი მოწყობილი იყო პირდაპირ ჩრდილოეთიდან ორივე კოლონას შუა ფართოდ გახსნილ სივრცეში. ეს სივრცე ბოლომდე დაუყრუებელი დარჩა და შენობის ვადაკეთების დროსაც ხელი არ უხლიათ.

მაშასადამე ჩრდილოეთის სტოის ფორმა სავსებით ირკვევა დარჩენილი მასალიდან. რაც შეეხება სამხრეთის სტოას, საჭიროა მისი აღდგენა ჩრდილოეთის ანალოგიით იმ მთავარი განსხვავებით, რომ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სტოა უწევდა ეკლესიის დასავლეთის ფასადის ხაზამდე ან არადა აქ ღია ტერასა იყო. ეს აზრი სამხრეთის სტოის საერთო ფორმების მსგავსებისა ჩრდილოეთისასთან მტკიცდება არსებული ნაშთებით. შესავალი შემოჩარჩულია კოლონებით, რომელთაც თალი ჰხურავს: ტაძრის კედლები იმ ნაწილებში, სადაც მას უერთდება სტოის აღმოსავლეთი და დასავლეთი შეკრები, უფრო სქელია მისივე სიმძლავრე და ტაძრის გარე კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ახლა ბაქანია; და მის ზევით ტაძრის კედელი უფრო თხელია. დასავლეთ ნაწილში სტოის (ჩრდილოეთი) კედელი დაცულია კამარის ერთი თავითაურთ. მაგრამ ახლა ის აღწევს ტაძრის დასავლეთის ფასადის ხაზს, სადაც ის გარედ ტაძარს არის მიყრდნობილი. მე ვფიქრობ, რომ—როგორც ზემოთ აღნიშნულია—აქ ან დიდი ტაძრის აგების შემდეგ იძულებული იყვნენ გაეტეხათ სტოის დასავლეთი კედელი და მთლად დასავლეთით გამოეწიათ იგი, რათა გაეკეთებინათ გასავალი სტოიდან დიდი ტაძრის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში; და ამ დროს გამოტეხილი უნდა იყოს ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების კუთხეში გადახლართული ცალკე ქვები, რის გამოც ამ ადგილას კედელში მინაშენის ხაზი აღარ დარჩა¹. თუ—ამ შემთხვევაში—დასავლეთის კედელს იქით ღია ტერასა იყო. ალბად კედელში იყო კარი და არა ფანჯარა, ისიც

¹ შეად. სტოის სუბსტრუქციას ჩრდილო ფასადის ანალოგიური ხლართი.

ძალიან ფართო. ტერასის ბარიერი, როგორც ჩანს, მაღალია და უნდა იყოს. ის უდრიდა სტოის ზედირკველს (ესე იგი არა უმაღლეს ნახევარი მეტრისა). ეს არის ერთი შესაძლო რეკონსტრუქცია სამხრეთის სტოის დასავლეთის ნაწილის ფორმისა. ხოლო უფრო ქუთასიან ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ახლანდელი ოთხკუთხი, რომელსაც დასავლეთით ფანჯარა ჰქონებია, მაგრამ შექმდეში ამოუშენებიათ, და რომელსაც სამხრეთით კარი ჰქონდა და თავზე კი ცილინდრული თალი ეხურა, ნაშთია პირვანდელი შენობისა.

რაც შეეხება ტაძრის ახლანდელ მდგომარეობას გარდა ახლა აღნიშნული გადაკეთებისა, ის გარედან საგრძნობლადაც უნდა იყოს დაზარალებული, რადგან სილაქვა გამოფიტულა: ეს უკანასკნელი ბუნებრივი პროცესების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ამას გარდა აღმოსავლეთის მხრით მრავალი ქვა გადმონგრეულა. ტაძრის შიგნით ნაწილის კამარა, უნდა ვიფიქროთ, დიდი ხანი არაა რაც ჩამონგრეულა, რადგანაც შიგნით ტაძარი კარგად არის დაცული.

გარედან ჩვენი ტაძარი, როგორც ეს დარჩენილი ნაშთებიდან ჩანს, ოთხკუთხედს წარმოადგენდა და მისი სახურავი ადვილი შესაძლებელია ორ-გვერდიანი იყო, რასაც სავსებით ეთანხმება ფრონტონზე დამთავრებული მისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები. აღმოსავლეთის ფასადს სწორი კედელი აქვს, ესე იგი აფსიდის ნახევარ-სიბრველე გარედ არ არის გამოშვებული; ის გარე ოთხკუთხედშია ჩამალული და ამგვარად ტაძრის შენობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

თუ თავისი მასით ტაძარი სტოათა წყალობით გარედან ერთგვარ დანაწევრებულ ერთეულს წარმოადგენდა, სამაგიეროდ გეგმაში იგი შედარებით უფრო დამთავრებული და განვითარებულია და გარკვეულ სისტემას იძლევა. მისი გეგმა ჯვარის სახისაა, ესე იგი ზეგნ გვაქვს ტაძრის ცენტრალური ნაწილი, სხვა ნაწილებზე უფრო მაღალი კვადრატია, რომელიც ამასთანავე გადახურულია ჯვარისებური კამარით. ამ ყამად კამარა ჩამონგრეულია, მაგრამ მაინც ჩანს მისი საჭეკების თავები და მთლიანი ლოდები ჯვარისებური კამარის წიბოთურთ, რომლებიც საძირკველთან არის კუთხეში დარჩენილი. ამ შუაგული ნაწილიდან იშლება კვადრატის შესატყვისი გვერდების პერპენდიკულარად ცილინდრული კამარით გადახურული შტოები. აღმოსავლეთისა და დასავლეთ-

თის შტოები სხვებზე უფრო ვრძელია. ამას გარდა აღმოსავლეთით ამ ვერეღ წოდებულ ბემას უერთდება გეგმაში ნახევრად-მრგვალი აფსიდა ზევით კონქით.

ჯვარისებური კამარა, შტოთა ცილინდრული კამარები და აგრეთვე აფსიდის მთავარი თალი ეყრდნობა საგანგებოდ გამოყვანილ ქუსლებს, რომელიც ცოტაოდნად პროთილურია, მაგრამ ძალიან გამოფიტული. ოთხსავე თაღს, ჯვარისებურ კამარას რომ არტყია, ძირში მთლიანი ქვები აქვს თითოეული წყვილისათვის, რაც მეტად მთლიან შთაბეჭდილებას ჰქმნის: თაღები თითქმის ერთი პუნქტიდან გამოდის და თან-და-თან ფართოვდება და ძლიერდება. ხოლო საკურთხევლის აფსიდისათვის, რომლის რადიუსი ნაკლებია შტოის განის ნახევარზე, თავის თავად უხადია გამოყვანილია მთელი თალი, რომლის მთელ-მთელი ქვები ქუსლამდე ჩანს.

ტაძარში ორი სარკმელია, აღმოსავლეთით და დასავლეთით, და ორი შესავალი, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. მათი თაღები სავსებით არის აღნიშნული თვით ქვათა წყობის სახით. სარკმლები დიდია; დიდია აგრეთვე კარებიც. სარკმელთა გარეგანი ფორმა ძალზე შეცვლილია. ხოლო მესამე ტაბულაზე მათი პირვანდელი მოყვანილობა კედლების გარე სიბრტყეზე პუნქტირით არის აღნიშნული. დასავლეთის სარკმელს, როგორც ჩანს, რაჟა ჰქონდა თავისი საფეხურითურთ¹. შემდეგ სარკმლის ქვემო ნაწილი ამოუშენებიათ და შეუღესიათ, რისი ნიშნები ახლაც არის დაცული. ორივე შესავალი გარედან, როგორც უკვე მოხსენებულა იყო, მორთულია კოლონებით, რომელთაც თალი აქვს დადგმულა და მის ქვეშ დიდი ტიმპანია. ჩრდილო შესავლის სამკაული იმ გვარად არის დაცული, რომ მხოლოდ მის ხუროთმოძღვრულ თვისებაზე შეიძლება ლაპარაკი და არა დეკორა ზიულ დეტალებზე. იქვე იდგა მარალ ბაზისზე, რომელიც შედგებოდა კვადრატისა და ლვილისაგან, საკმაოდ მკვრივი სვეტები, თითო-თითო ორივე მხრით; კოლონები ზევით თავდებოდა ბირთვისებური თავებით პატარა თაროთი ზემოთ². ამ შტოის სამ კოლონაში—ჩრდილო-დასავლეთისას კაპიტელ-

¹ ანალოგიურად არის მოწყობილი წრომისა და ატენის ტაძრების სარკმლები.

² იხ. ტაბულები მე-IV და მე VI.

ზე კალათისებური წნულობის ნიშნები აქვს, ჩრდილო-აღმოსავლეთის კოლონის ბაზისზე კი კანელურების ნიშნები¹. სამხრეთის შესავალი შემოჩარჩულია წყვილ-წყვილი კოლონებით; დასავლეთის წყვილზე კარვად არის დაცული კაპიტლები, რომელიც ორი ბირთვისაგან შესდგება და შუაზე ვერტიკალური ზოლი ჩამოუდის: მათ ზევით კიდევ პატარა თაროა, მცენარეული ორნამენტით შეპყული². მათი ბაზისია ლეილი. მაგრამ ამავე შესავლის აღმოსავლეთის კოლონებს დროისა და ატმოსფერის გავლენის გამო მთლად დაუკარგავთ თავისი სამკაული.

დასავლეთის კედელში, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, გამოყვანილია წალო: ის ოთხკუთხია გეგმით და ცილინდრული კამარა აქვს³. წალოს წინ ერთკმის გამოწეული კოლონა და ზემოთ ხალხინებლისებრი კამარაა. თალი ეყრდნობა ჩრდილოეთ კედლის ქუსლს, რომელიც ოდნავ ჩანს, და პატარა კოლონას, რომლის თავიც ბირთვისებურია: ამის ზევით გადებულია პატარა თარო, ხოლო ქვევით საძი წყება სხვა-და-სხვა სისქის ლეილებისა. კოლონა და კაპიტელი გაშალაშინებულია; იგი კარვად არის დაცული და ზედ არ ყოფილა გამოკრილი ორნამენტები. წალოს უკანა კედელზე ერთ-ერთ დიფ ქვაზე გამოქანდაკებული ყოფილა განედლებული ჯვარი, რომელიც ამ ქვად გაფუჭებულია. ამას ხელი შეუწყო ალბათ იმ გარემოებამ, რომ ჯვარი ოდესღაც გაღესილი ყოფილა⁴. ეს წალო, უნდა ვიფიქროთ, საქართველოს კათალიკოზის საპატიო ადგილს წარმოადგენდა.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში პატარ-პატარა წალოებია გამოყვანილი, სულ ოთხი⁵.

1) ამგვარივე სამკაული გვაქვს ჩვენ შემდეგ ხანებში ატენის სიონის სამხრეთ შესავლის თავებზე.

2) ტაბულა მე-VII, შეად. აგრეთვე მე-IV.

3) ტაბულა მე-IV და მე-VII. (უნივერსიტეტის საფოტოგრაფიო კაბინეტში მოიპოვება რამოდენიმე სურათი ამ წალოსი).

4) ჩუქურთმის ამონაჭერი ადგილები ალაგ-ალაგ გაჯით არის ამოვსებული.

5) ტაბულა I.

ყველა ოთხკუთხია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის წალო, ბემაში რომ არის, კიდევ გრძელდება აღმოსავლეთის მიმართულებით აფსიდის კედლის სიღრმეში. როგორც დარჩენილი ნარიმანდიდან ჩანს, ეს გაგრძელება სავანგებო ქვით იხურებოდა¹ და უეჭველია ის სალაროს საიდუმლო ადგილს წარმოადგენდა. ამ გაგრძელებას, რომელიც აგრეთვე ოთხკუთხია და პარველ წალოზე უფრო მაღალი, მრგვალი გასავეალი აქვს: იგი შესდგება ქვევრის ზემო ნაწილიდან, რომელიც აქ არის ჩაკეთებული.

საკურთხეველი ბემითურთ ტაძრის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით ერთი საფეხურით უფრო მაღალია. ეს ამძღლებული ადგილი ახლა ტაძარში იატაკის უქონლობის გამო უფრო დიდად ჩანს, ვიდრე ეს უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, სახელდობრ ნახევარ-არწინზე².

ტრაპეზი მთლიანი ქვაა და მთლიან ქვაზედგება დაყრდნობილი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს. ტრაპეზი კედელზეა მიყრდნობილი, ე. ი. იგი უძრავია³.

აფსიდის კონქი—მხოლოდ კონქი სოფიის კენჭით ყოფილა შემკული—და ამისი ნაშთი ახლაც არის დაცული in situ. ხოლო კუბიკები ილარიონ ბერმა მოაგროვა და ტფილისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადმოსცა 1914 წელს⁴. მოზაიკის ნატეხი ხელუხლებელი დარჩა ჩრდილოეთ კუთხეში კონქის თალის წინა მხარეს. ამას გარდა დარჩენილია გაჯი თალის ზენითის ცოტა ჩრდილოეთით,—შესაძლებელია ესეც მოზაიკისათვის იყოს. თუმცა

1) ამგვარადვეა გაკეთებული ნაპირას მდებარე სამხრეთის აკლდამის შესავალი.

2) შეად. ტაბულა მე-III.

3) შეად. ტაბულა მე-III და მე-V.

4) ბერმა მითხრა მე ეს 1916 წლის შემოდგომაზე და გარკვევით აღნიშნა, რომ ეს კუბიკები მან მცირე ტაძარში შეკრიბა. ამას მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგანაც საზოგადოების ინვენტარში 1914 წელს სწერია მხოლოდ შემდეგი ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს ხელით: № 1649. აია სოფიის კენჭები ჯვარის მონასტრიდან ჩამოტანილნი, რომლითაც მტკიცდება. რომ ეს მონასტერი ძველად მოხატული ყოფილა აია სოფიის კენჭით».

უკანასკნელის კვალს აქ მე ვერ მივაგენი¹. ზოგიერთ ქვაზე დაცული მოზაიკისათვის გაკეთებული სქელი ნაკეცები². ნაკეცი მოიპოვება მხოლოდ ზოგიერთ კარგად შენახულ ქვაზე, სახელდობრ კონქის ორთავე ჩრდილოეთ ქვაზე, კიდევუ რომ არის. კონქის ქვების მეტი წილი კი ძალიან დაზიანებულია დროთა სრბოლაში და გარე ნაწილები ჩამოსცვენიათ; ამიტომ მათზე რასაკვირველია ნაკეცები აღარ არის დაცული. ექვს გარეშეა, რომ მოზაიკა ჰუარავდა აფსიდის კონქს და თაღის ვერტიკალურ ზედაპირს; ამას გარდა ტაძარზე არავითარი მხატვრობა არ ყოფილა.

მოზაიკის კუბიკები, მუზეუმში რომ არის დაცული, წარმოადგენს ოქროსას და სხვა-და-სხვა ფერის ქაშანურს და აგრეთვე რაღაც სრულად ნკრთალ ცომს, რომელიც წყალს ისვამს³ და რომელსაც ზეთის ხილისა და მოთეთრო ფერი გადაჰკრავს. ამ ცომს აკვარელის წამლები აქვს წასმული, წითელი, ორ-ტონიანი. ამას გარდა ნაპოვნია კენჭები და ორი მთის ბროლი, რომელიც, შესაძლებელია, მოზაიკის კუბიკებად იყო გამოყენებული. ფერების მიხედვით არის კუბიკები წითელი, ტანის ფერი, ყვითელი, ჰწვანე, ლურჯი სხვა-და-სხვა ტონისა, დასასრულ შავი და თეთრი. ოქროს ფერ კუბიკებს, რომელთა რიცხვი სხვებს აღემატება, შუშის ძირი აქვს, ნაირ-ნაირი ტონისა.

II.

ზემო აღწერილ ტაძარს თავისი გეგმითა და დამახასიათებელი დეტალებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მემატთანეთა ცნობების მიხედვით შეიძლება განსაზღვრულ იქმნეს მისი აშენების დროც. ქართ-

¹) იხ. ტაბულა მე-III, სადაც ორივე ადგილი წახაზვით არის აღნიშნული.

²) ტაბულა III. ვხეხნი საერთოდ ისეთივე ხასიათისაა, როგორც წრომის ტაძრის მოზაიკის კენჭები.

³) იგივე აღნიშნა დ. გორდეევმა წრომის ტაძრის მოზაიკის შესახებ (Краткий отчет о командировкахъ въ Кахию и Горійскій уѣздъ лѣтомъ 1917 года: Извѣстія Кавк. отд. Моск. Археологическаго общества, вып. V, Тифлисъ 1919, стр. 33).

ლის მოქცევის სიტყვით გუარამ ერისთავმა (შემდეგ კურაპალატმა) დადგა საფუძველი ჰატიოსნისა ჯუარისაჲ. და დვა საფუძველი ო რომ არის, მებატიანეს უთუოდ იმის თქმა სურდა, რომ გუარამმა დიდი კულტურული საქმე გააკეთა და სწორედ ასეც გაიგო მე-XI საუკ. ისტორიკოსმა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, რადგანაც მან ევსტათი მცხეთელის ცხოვრებიდან მოყვანილ სიტყვებს განმარტება დაურთო: აქამომდე ჯუარი ვკლსა ზედა იყო. ამ რიგად მცხეთის ჯვარის ტაძარი აგებულია მეფობის მოსპობის შემდეგ (VI საუკ. დასაწყისში), როდესაც იქედებოდა ახალი სახელმწიფო წეს-წყობილება. მებატიანის ცნობა სავსებით ეთანხმება ტაძრის მხატვრული ანალიზით შედეგებს, მის ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებას.

პირველ ყოვლისა ჩვენ შევიჩრდებით იმ ტექნიკურ წესებზე, რომელიც მიღებულია კავკასიის საქრისტიანო ხუროთმოძღვრებაში.

მცირე ტაძრის კედლებზე ჩვენ გვხვდება სხვა-და-სხვა ადგილას ქვისმთლელო ნიშნები. ესე იგი ის დათქმული ნიშნები, რომელსაც ქვისმთლელო მის მიერ გათლალ ქვას უკეთებდა. ასეთი ნიშნები აქვს: მცხეთის ჯვარის დიდ ტაძარს, ატენის სიონს, მარტვილისა და წრომის ტაძარს, აგრეთვე სომხეთში ქ. მრენის ნანგრევებში აგებულ ტაძარს. ამათგან, რომელიც კი დათარიღებულია, ყველა მე-VII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთნის; უფრო გვიან აგებულთ ქვისმთლელო ნიშნები არა აქვს. სხვათა შორის მცირე ტაძარზე აშოქრილი სამი პირველი ნიშანი გვხვდება ჩვენ აგრეთვე მცხეთის ჯვარის დიდ ტაძარზე, ხოლო ორი პირველი ატენის სიონზედაც.

შენობის მეორე ნიშანდობლივი თვისება, აქა-იქ აღნიშნული ტაძარზე, ეგრედ წოდებული ფახი (ФАХИ), გვხვდება აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილ ტაძრებზე. ეს ქვების კიდეთა თავისებურად გამოყვანას ნიშნავს; საქართველოსა და სომხეთის შენობებში ასეთი ჩამოთლა ხაზგასმით აღნიშნავს ხოლმე ნაკერს ქვასა და ქვას შუა.

რაც შეეხება ტაძრის გეგმას, იგი ჯვარისაა¹. გეგმის ცენტრალურ

¹) ამ წერილის დაწერის შემდეგ მე საშუალება მომეცა გავსცნობოდი პროფ. იოსებ სტრიგოვსკის გამოკვლევას სომხური ხუროთმოძღვრების შესახებ (Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, 2 Bände, Wien 1918). აქ მითაყენებულია (გვ. 86) მცხეთის ჯვარის ორთავე ეკლესიის

კვადრატს გადახურული ჰქონდა ჯვარისებური კამარა, ხოლო მასთან შეერთებულ ოთხ მოკლე შტოს—ცილინდრის კამარები, პერპენდიკულარად მიმართული კვადრატის შესატყვის გვერდებთან. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შტოები ცოტა უფრო გრძელია, ვიდრე სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. ეს დანაწევრებული სივრცე (აღმოსავლეთით არის კიდევ ნახევრად მრგვალი აფსიდა) გარედან ჩასმულია მოგრძო ოთხკუთხედში ფრონტონებით აღმოსავლეთით და დასავლეთით. ესე იგი მას უნდა ჰქონებოდა ორგვერდიანი სახურავი.

გარედან შენობას ჯვარის სახე აქვს მიცემული დიდი სტოების საშუალებით, რომელიც სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების შუა ნაწილებშია დადგმული. ეს სტოები მხოლოდ ცოტათი ვერ აღწევს ტაძრის სახურავს; ხოლო რადგან ისინი საკმაოდ გაგრძელებულია, საუცხოოდ შეეფერებოდა თვით ტაძარს და მასათა დამთავრებულ ანსანზლს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ტაძრის კონსტრუქციის თვისებათ, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევჩერდეთ ჯვარისებურ კამარაზე¹. ჩვენში და სომხეთში ძალიან ცოტაა შენობები, ჯვარისებური კამარით რომ იყოს დახურულ-

გეგმა (სურათი 72), რომელიც დლიურას ტექსტის მიხედვით (იხ. გვ. 24, ექვსი აქტომბრის დლიური), შესრულებული უნდა იყოს D-r Glück'-ისა და ლეონ ლისიციანის მიერ. მცირე ტაძრის გეგმაში რამოდენიმე ნაკლია, კერძოდ ძალიან ცუდად არის წარმოდგენილი მცირისა და დიდი ტაძრის შეერთება. შეცთომებს ცხადად დაინახავს კაცი, თუ შევადარებთ მის გეგმას აქვე დართულ I ტაბულასთან.

აღსანიშნავია კიდევ, რომ საზოგადო გეგმა მცირე ტაძრისა მოყვანილი აქვს აგრეთვე M. Scherwinsky-ს (Die Baukunst der Georgier, in: Allgemeine Bauzeitung 1891, Heft 3-4, Tafel 18, Abb. 3).

¹) J. Strzygowski (l. c. S. 310) თავის თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ცნობათა მიხედვით ჰფიქრობდა, რომ აქ გუმბათი უნდა ყოფილიყო. მას მოჰყავს (სურ. 347, გვ. 310) კუთხის სურათი, როგორც მაგალითი სისწორის გამოუანგარიშებლობისა (Reinheit der Berechnung), რომელიც მისი სიტყვით უხეიროდ მიშენ-მოშენებულ აფრას (derb zusammengebautes Pendant) ახასიათებს (გვ. 310). ნამდვილად კი აქ მხოლოდ ჯვარისებური კამარის დასაწყისია, რომელიც ძალზეა ქარისაგან გამორეკილი.

ლი; ხოლო ამ გვარად დახურულ ოთახებს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს შენობებში¹. ასე იხურება მაგალითად გვერდის ოთახები ზემოთ ჩამოთვლილ ტაძრებში. ბუნებრივი იყო რასაკვირველია, რომ ცილინდრის კამარის მუდმივი ხმარებით ჯვარისებურ კამარამდე მისულიყვნენ, როდესაც საკითხი ეხებოდა კვადრატული ოთახების დახურვას². ხუროთმოძღვრების განვითარებამ, სახელდობრ გუმბათის შემოღებამ მისი ყელით, იმ თავითვე მეორე რიგში გადაიტანა ჯვარისებური კამარა, თუმცა პირველ ხანებში ჯერ კიდევ აკეთებდნენ მას მეორე ხარისხოვანი ოთახების დასახურავად. მაგრამ მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარში ჯვარისებურ კამარას ცენტრალური აღგილი უჭირავს და ეს იმის მაჩვენებელია, რომ გუმბათის დადგმა კვადრატულ საფუძველზე ჯერ კიდევ არ იცოდნენ მაშინ და, მაშასადამე, ჯვარისებური კამარით დახურვა უპარესად პროგრესიულ ნაბიჯს წარმოადგენდა მაშინდელი ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ჩვენი ტაძრის შენობის მეორე საყურადღებო თავისებურობას წარმოადგენს ტაძრის ქვეშ აკლდამების მოწყობა: გეგმით აკლდამები შეფარდებულია თვით ტაძრის შენობასთან, რომლის აგებაც მათზე უფილა განზრახული. მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ თვალში ჰხვდება კაცს მიმართულება ყველაზე უფრო სამხრეთით მდებარე აკლდამისა: მაშინ, როდესაც სამ დანარჩენ აკლდამას ერთი და იგივე მიმართულება აქვს (ისეთივე, როგორც მცირე ტაძარს), იატაკი და ქერიც თანაბარი სიმაღლისაა, სამხრეთის აკლდამას სულ სხვა მიმართულება აქვს (არა OSO, არამედ O) და იატაკიც სხვებზე უფრო მაღალი აქვს. ექვს გარეშეა, რომ იგი აშენებულია დანარჩენ სამ აკლ-

¹) შესაძლოა, რომ გორი-ჯვარის კვადრატიც გადახურული იყო ჯვარისებური კამარით. უკანასკნელი მიწის ძვრის შემდეგ (1920 წ.) მე იგი დავათვალიერე სპეციალურა მიზნით, მაგრამ ეკლესია სულ მთლად დანგრეულია და ჩვენ საშუალება აღარა გვაქვს გავითვალისწინოთ საქმის ნამდვილი ვითარება. (Материалы по археологии Кавказа, т. IV, სადაც მისი აღწერილობა მოყვანილია, ამ მხრივ არავითარ ცნობას არ იძლევა).

²) J. Strzygowski-ც (op. cit., S. 800—801) ისე ჰფიქრობს, რომ სომხეთის უძველეს ეკლესიებში (ირინდი, ალამნი, არტიქი, ბაგრანი, აქ ყველგან მეშვიდე საუკუნის ეკლესიებია, ახალი მიმართულებისა) ჯვარისებური კამარა გვხვდება მხოლოდ მეორეხარისხოვან ნაწილებში და თანაც მხოლოდ-და-მხო-

დამასთან ერთად კი არა, არამედ, მათზე უწინარეს: მისი ორიენტაცია არ უდგება არც მცირისა და არც დიდი ტაძრისას. ამ სუბსტრუქციამ საგრძნობლად აამაღლა შენობა და შენობაც საგანგებოდ მოწყობილ იმპოსტზე აღმოჩნდა აგებული. ამ უკანასკნელმა ხერხმა სილიადის დალი დაასვა მთელ შენობას¹. თუ რამდენად უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ამის გამო შთაბეჭდილება ადგილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მცირე ტაძრის გვერდით აგებული დიდი ტაძარი იმავე სიმაღლის იმპოსტზეა, როგორზედაც მცირე ტაძარი. დაახლოვებით ადამიანის სიმაღლეზე. უფრო გვიან აგებულ ტაძრებს საგანგებოდ იმპოსტი არა აქვს; ისინი მხოლოდ პატარა ზეძირველებზეა აგებული.

ტაძრის სილიადის უფრო მეტად უწყობს ხელს კიბეები, სტოების კოლონებზე დადგმულ ფართოდ გახსნილ თაღზე რომ აღის, და აგრეთვე თვით სტოათა ფორმა — როგორც ზემოთ გამოვარკვევით — რომელთაც ცენტრალური კვადრატის ზევით ჯვარისებური კამარები უნდა ჰქონოდა. ასეთი დიადი შესავალი კიბე სრულებით არ ეგუება საეკლესიო ხუროთმოძღვრებას (ჩვენ არც ერთ ეკლესიაში არ გვხვდება ეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მავზოლეუმებს, როგორცაა მაგალითად თეოდორისისა რავენაში და მისთანანი, რომელთაც გარეგანი კიბეები უნდა ჰქონებოდათ²) და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ეს სასახლის შენობათა უართო შესავალი იყოს³.

ეჭვს გარეშეა, რომ, როდესაც ამ შენობის აგებას შეუდგენ, სახეში ჰქონდათ აღეშარათ მთელი ერის წმიდათა-წმიდის შესაუერისი შენობა. სადაც ყოველი ქვა გულდასმით იქნებოდა ჩაშენებული, რათა ლოდ გუმბათიან ტაძრებში (მე მკონია, რომ განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ის გაოქმობა, რომ ჯვარისებური კამარა ახერხებს მხოლოდ კვადრატულ არეს). «ეს არ არის შოვლენა, რომელიც სე ვთქვათ, რომელთა-თან ან ეკლესიის ბერძნულ-ასურულ მიმართულებასთან ერთად სომხეთში მოდიოდეს, არამედ ფორმა, რომელიც იქ ეროვნული მოძრაობის პროცესში ჩნდება» (Es ist also kein Einschlag, der etwa mit dem Römischen oder der griechisch-syrischen Strömung der Kirche nach Armenien gelangt, sondern eine dort im Zuge der nationalen Bewegung auftretende Werkform).

1) Strzygowski (l. c., S. 347 ff) ამ გვარადვე აფასებს მსგავს ხერხს.

2) შტრ. აგრეთვე ი. სტოიგოვსკის მიერ გამცემულ ქსოვილზე გამოყვანილი ეკლესიის სახე, რომელსაც ნ. კონდაკოვი იხსენებს (Иконография Богоматери, I, Изд. 1914, გვ. 136).

3) შტრ. Fr. Sarre und E. Herzfeld, Iranische Felsreliefs.

შენობა შესანიშნავი ყოფილიყო, როგორც თავისი სხეულის სიდიდით, ისე სამკაულოთა სილამაზით. მართლაც კიბეზე ასული შედიოდა მდიდრულად და გულდასპით მორთულ შესავალში, სადაც დიდად იყო აღძვრული კოლონები და მათზე ჩუქურთმიანი თავები. ტაძრის შიგნით სპეკიალური წალო ყოფილა კათალიკოზისა ან ეპისკოპოზისათვის, წალო გაშალაშინებული ქვისაგან არის გაკეთებული. ხოლო აფსიდის კონქი ძვირფას მოზაიკურ ნახატობით ბრწყინავდა. უეჭველია, ეს იყო იმ დროისათვის ბრწყინვალე შენობა: მატრიანეშიც ხომ ამიტომ არის შეტანილი ცნობა მის შესახებ.

ტაძრის აგების ეპოქის გამოსარკვევად ყველაზე უფრო სიძველე კრიტერიუმი საქართველოს ტაძრებისათვის ორნამენტალური სამკაულებია. იგივე ეხება მაშასადამე მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარსაც, ამისთვის აუცილებლად საჭიროა განვიხილოთ მისი დეკორატიული მორთულობის ელემენტები.

დაძახასიათებელია კოლონების თავების ფორმა და მათი სახეები; მაგრამ საყურადღებოა არა მარტო კოლონების დაბოლოვებანი, არამედ თვით კოლონებიც. სამხრეთის შესავალს ამშვენებს წყილი კოლონა და ეს დეკორი ცნობილია სომხეთსა და საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებში ამ ახლო-მახლო ხანაში. მაგალითად სომხეთში ამნაირი შესავალი აქვს თეკორას ტაძარს ჩრდილოეთის მხრით¹, ხოლო საქართველოში მცხეთის ჯვარის დიდ ტაძარს სამხრეთითაც და ჩრდილოეთით და ატენის სიონს, მასაც აგრეთვე ჩრდილოეთით და სამხრეთით. მსგავსივე დეკორატიული ელემენტი გვხვდება სასანაანთ სასახლეების არქიტექტურაში². ჩრდილოეთის შესავალში კი არის თითო-თითო კოლონა, უფრო დიდ-დიდი, რომელთაც უფრო სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დეკორატიული. უეჭველია, აქ თავი უჩენია კავშირს, რომელიც მცხეთის ჯვარის პატარა ტაძარს აქვს სხვა უძველეს ტაძრებთან, როგორიცაა ბოლნისის სიონი საქართველოში და ერერუიქის ბაზილიკა სომხეთში. ჩვენს ძეგლს რამოდენიმე მაგალი-

Berlin 1910, Tafel XV und XXII (Persepolis); F. Stolze und Th. Nöldcke. Persepolis, Bd. I. Berlin 1882, Tafel 16 und 17.

¹) J. Strzygowski, op. c., S. 408 (Abb. 434) u. 410 (Abb. 438).

²) ib. S. 407.

თი აქვს უკვე განმტკიცებულისა და ახლად წარმოშობილი მოტივების ამგვარი შეფარებისა.

კოლონების თავების ფორმა ორიგინალურია და მისი არსებობა გასაგები ხდება ჩვენთვის მხოლოდ იქიდან, რომ წინა აღმოსავლეთში ძველი ხელოვნების ფორმებს თავისუფლად ჰქმნიდენ. ამას ჩვენ უკეთ ვიცნობთ ჰეტურისა და ძველი სპარსული ხელოვნებიდან. კოლონათა თავების ფორმის საფუძვლად დაღებულია ბირთვი, რომელიც შემდეგში სხვა-და-სხვა დეკორით გადაქცეულია უფრო რთულ ფორმებად. მხოლოდ კოლონაზე, რომელიც ამშვენებს საპატრო ნიშას ეკლესიის დასავლეთის კედელში, ჩვენ გვაქვს ბირთვი, რომელიც უბრალოდ გათლილი კი არ არის, არამედ გაშალაშინებულია. სტრიგოვსკიც კი აღნიშნავს: «ბირთვა შეიძლება კოველთვის თავი ამოჰყოს დამოუკიდებლადაცა»-ო¹. მაგრამ იგი იქვე ჰკითხულობს: საიდან მოდის კოლონების ბირთვისებური თავი და ბოლო, რომელიც აგრე გავრცელებულია მათე საუკუნის ძეგლებში სომხეთში? სომხური არქიტექტურის მეშვიდე საუკუნის ძეგლებში მან ეს მოვლენა ვერ ნახა, თუკაც ჰფიქრობს, რომ ამ დროსაც უნდა ყოფილიყო იგი გავრცელებული. აქ იგი იგონებს მცხეთის ჯვრის პატარა ტაძრის ბირთვისებურ დაბოლოვებას და ამის გამო შეჰნიშნავს: «ჩრდილოეთში ბირთვი ეგების უფრო ძველი და აქედან გადაღებული იყოს» სომხეთშიო².

მოტივები, რომლებიც კოლონების კაპიტლებზე მოაპოვება, აგრეთვე წარმოადგენს მოტივთა შეერთებას ორი ეპოქისას, დასრულებულისას და ახლად წარმოშობილისას. ეკლესიის სამხრეთის შე-

¹) Man wird den Knaut... wohl immer wieder selbständig auftauchen sehen (Strzygowski, Die Baukunst der Armenier, I, S. 440).

²) Strzygowski, l. c., S. 441 u. Abb. 483; სტრიგოვსკი ჩრდილოეთად საქართველოს ჰგულისხმობს (იხ. მაგალ. გვ. 437).

უკვე ამ გამოკვლევის შემდეგ, იმედი მაქვს, საჭირო გახდება გადაშინჯვა ქართულისა და სომხური ხუროთმოძღვრების პოსტულატებისა, რომლებიც ი. სტრიგოვსკის თავის თხზულებას საფუძვლად აქვს დაღებული. მე აქ არ გამოუდგები მათ განხილვას, რადგანაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ კაცი გულდასმით გადაიკითხავს მის გამოკვლევას, დაბულებათა სხვა-და-სხვაობა თავის თავად გამოაშკარავდება.

სავლას კაპიტლებს აქვს კანელურების მოტივი ორ წყებად¹. ეს კანელურების მოტივი ამკობდა არა მარტო სამხრეთის შესავლის კაპიტელს, არამედ აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთის კოლონის ბაზისსაც ჩრდილოეთის სტოაში ერთ ვიწრო წყებად. ანალოგიური კანელურები (კოვზის მსგავსი დეკორი) გვხვდება უფრო ძველი დროის კაპიტლებზე, სახელდობრ ბოლნისის სიონში² და შემდეგ ხანებში ატენის ტაძრის სამხრეთის შესავლის აღმოსავლეთ კოლონების თავზე. გარდა ამგვარის დამოუკიდებელი მნიშვნელობისა — ორნამენტალური დამთავრებისა — ამგვარივე სამკაული გამოყენებულია მცხეთის ჯვარის დიდი ტაძრის და ატენის სიონის რელიეფებზე ანგელოზთა და ფრინველთა ფრთების ზემო ნაწილში³. ეს მოტივი ჩაისახა ძველი სპარსეთის აქემენიდურ ხელოვნებაში⁴, გავრცელდა შემდეგ რომისაში⁵ და აღორძინდა სასანიანთა ხელოვნებაში⁶; ხოლო შემდეგი განვითარება მიიღო აღრინდელ აღმოსავლურ ქრისტიანულ ხელოვნებაში და კერძოდ ბიზანტიურში⁷. ამიტომ გასაგებია, რომ ის გვხვდება

¹) იხ. ტაბ. VII და სურათი 48 გვერდზე. რომელიც აღმოდებულია H. Kuhn-ის მიერ.

²) შეად. ტაბულა ივ. ჯავახიშვილის ქართ. ერის ისტორიის II (1914) ad p. 294, რომელიც შესრულებულია დ. ერმაკოვის კოლექციის № 18154 სურათის მიხედვით.

³) ეს ჩანს დ. ერმაკოვის კოლ. № 2694 სურათზეც ც.


⁴) პერსეპოლის კარის კედლები: Fr. Sarre u. E. Herzfeld, Iranische Felsreliefs, S. 15 (Abb. 5) und S. 153 (Abb. 70); vgl. S. 113 (Abb. 46) und Tafel XVIII.

⁵) შეად. Н. фондаковъ, Археологическое путешествие по Сирия и Палестинѣ, СПб. 1904, табл. X и XXIV.

⁶) მაგალითად ფირუზ-აბადის სასახლეში (G. Perrot et Ch. Chipiez Histoire de l'art dans l'antiquité, t. V (Perse), Paris 1890, fig. 366-368 (pp. 573-575) Flandin et Coste-ის და M. Dieulafoy-ის ნახაზები.

⁷) O. Wulff, Die Koimesiskirche in Nicäa, Strassburg S. 58-61, 167; O. Вульфъ, Архитектура и мозаики храма Крестовъ в Никеѣ (Византийскій Временникъ. VII, 1900), стр. Веневскій. Исторія Византии, СПб., т. I, рис. 27 (463-ის ნონასტერი კონსტანტინეპოლში).

ჩვენ ეკვპტის ტაძრებში¹, შუაგულ მკირე აზიაში². ასურეთში³; სომხეთში⁴ და საქართველოში. ასეთი ორნამენტი უფრო მეტად არის გამოყენებული უფრო ძველს ძველზე, ვიდრე ჩვენი ტაძარია, სახელდობრ ბოლნისის სიონზე⁵; ჯვარის სახის გუმბათიან ტაძრებიდან ჩვენ ვნახეთ იგი მხოლოდ ატენის სიონში, ესე იგი ამ უფრო მერმინდელ დროს ეს მოტივი უკვე ქრებოდა, რაც ფრთების გამოყვანასაც ემჩნევა.



¹) თეთრი მონასტერი სოპავს მახლობლად: W. de Borsik, *Matériaux pour servir à l'archéologie de l'Égypte chrétienne*, St.-Petersbourg 1901.

²) Strzygowski, *Kleinasion*, Leipzig 1903, Abb. 57 (იკობ ს შ ი რ. ნოვის) S. 67 und Abb. 138, vgl. SS. 171-172; O. Wulff, in: *Byz. Zeitschr.*, Bd. XIII (1904), S. 562; Ramsay and Bøll, *The 1001 churches*, 1909, fig. 280 (p. 260).

³) Vogué, *La Syrie centrale*, 1866-75; pl. 15, 104 et 148; H. C. Butler, *Architecture and other arts (American archaeological expedition to Syria, t. II)*, New-York and Leyden 1903, pp. 30, 367, 381.

⁴) იორის (ახლა დიგორის) ტაძარზე; შუად. Христианский Востокъ, III, და აგრეთვე Strzygowski, *Die Baukunst der Armenier*. Abb. 37.

⁵) იკობ. ad p. 294 ივ. ჯავახიშვილის ქართულ ერის ისტორიისი 1913—1914.

კაპიტლის ბირთვებს შუა გაყვანილია ვიწრო ზოლი და იგი სტილიზაციური ფოთლით (ან ნერგით) არის შემკული, რძემელიც მთელ მის არეს ჰფარავს. ანალოგიურ მოვლენას (თუმცა სამკუთხიანი არის) ადგილი აქვს ბოლნისის სიონის კაპიტლებზე¹.

ამ კაპიტლის ზევით გაყვანილია ზოლი, შემდგარი ნახევარ-ნახევარი ფოთლისაგან. ეს მოტივი გვხვდება აგრეთვე ანალოგიურ ფორმებში ატენის სიონის დასავლეთის ფასადზე, შუა ფანჯრის თავზე², ქანისში (სომხეთში) ეგრედ წოდებულ სასახლის ეკლესიის (VII საუკუნის დასაწყისის) კაპიტლებზე³ და სხვაგან. დამახასიათებელია, რომ იოსებ სტრიგოვსკიმ ათინის აკროპოლში იპოვა ბიზანტიური ორნამენტების ფრაგმენტები, რომელთაც ამ მოტივთან უახლოესი კავშირი აქვთ⁴. სტრიგოვსკი მათ აკუთვნებს V-VI საუკუნეს⁵ და ამბობს: «კაცს შეეძლო ეფიქრა, რომ ვინმე ირანელ ოსტატს უმუშავნია ზედა-ო⁶. ამ დეკორატიულ მოტივისაც ემჩნევა, რომ იგი თანდათან ისპობოდა: აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სხვა ფანჯრების თავებს უკვე სხვა სახე აქვს (სხვა არის მისი მოხაზულობის ხასიათიც კი). საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ჩუქურთმები სტილისტურად ჰგავს ბოლნისის სიონისა და წრომის ტაძრის ცალკე ნაწილების სამკაულებს და არსებითად განსხვავდება მცხეთის ჯვარის დიდი ტაძრის ჩუქურთმებისაგან. ბოლნისისა და წრომის რელიეფური (ამობერვილი) გამოსახულებანი სასანიანთა ხელოვნების ხასიათს ატარებს. ეს ჩუქურთმები მკრთალ რელიეფზედაც დიდის ოსტატობით არის ამოყვანილი ისე, რომ სტოვებს ცხოველ და დამთავრებულ შთაბეჭდილებას.

¹) იხ. ერმაკოვის კოლექციის № 18148 სურათი.

²) შეად. იქვე გუმბათის ყელის ჩრდილო ფანჯრის თავი.


³) Памятники армянского искусства, Вып. I, Дворцовая церковь въ Аян. СПб. 1915. Табл. XVI, XVIII, XIX, XX.

⁴) J. Strzygowski, Altai-Iran und Völkerwanderung. Leipzig 1917, Abb. 68 (S. 75).

⁵) l. c., S. 242 u. unbestimmter 139, 75-77.

⁶) l. c., S. 139: man könnte meinen, dass... ein iranischer Meister an der Arbeit war.

იმ დროს, როდესაც ზემოთ განხილული მოტივები ნახევარი საუკუნის შემდეგ იშვიათია და აღარ იხმარება, ჩრდილოეთის სტოის ერთი კაპიტლის მოტივი, პირ-
იქით, როგორც ჩანს, მხოლოდ ახლა, ჩვენი ტაძრის აგე-
ბის ხანაში შემოდის. ეს არის კალათისებური წნულის
მოტივი, რომელიც ჰფარავდა ჩრდილოეთ სტოის ჩრდი-
ლო-დასავლეთის კოლონის თავის ბირთვს¹. ჩვენი აზრი
მტკიცდება იმით, რომ ატენის კაპიტლებზე ასეთი სა-
ხეები სქარბობს². ეს კალათისებური წნულება სხვა-და-სხვა სახისა მეშვიდე
საუკუნეში ხშირი მოვლენაა კავკასიაში. ამ სამზოლიანი წნულების ფორმის
მოტივს კაი ხანია დიდ ყურადღებას აქცევს ი. სტრიგოვსკი, რომ-
ელიც დიდ აღგილს აკუთვნებს მას ევროპის ორნამენტის განვითარე-
ბაში³. მხოლოდ იგი არ საზღვრავს ეტაპებს მათი განვითარებისა, გავრ-
ცელებისა და ქრონოლოგიურად დალაგებისას. ანისის არქეოლოგიური
კვლევა-ძიების შედეგები საბუთს გვაძლევს ექვი მივიტანოთ მის დათა-
რილებაში, როდესაც საქმე ეხება სომხეთის არქიტექტურის ნიმუშების
უმეტესობას. საზოგადოდ კი, როგორც ვთქვი, სტრიგოვსკი ჰთი-
ქრობს, რომ იგი ვრცელდება ირანიდან პირველი ათასი წლის მეორე
ნახევარში ქრისტიანული წელთ-აღრიცხვით⁴, და გაკვრით ცოტა უფ-
რო სისწორით აღნიშნავს, რომ «მოსახვევი», რომელსაც მივჰყავართ
ზოლებიანი წნულებისაკენ, მერვე საუკუნეში ემჩნევა⁵. უფრო დეტა-
ლურ გამოკვლევას კავკასიის ქრისტიანული ძეგლებისას, როგორც ჩანს,
აქაც შეუძლია მოგვცეს სწორი პასუხი.



¹) დახატულია ნ. სევეროვის მიერ.

²) შეად. Mat. по Арх. Кавк., т. IV, рис. 137 (с. 150). აგრეთვე მღვი-
ძარეთა («ზუართნოცა») ეკლესია ეჩმიაძინში; Изв. Археол. Ком., вып.
VII, 1903, табл. VII; J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier, Abb.
453, S. 422, u. a.

³) J. Strzygowski, Altai-Iran und Völkerwanderung. Leipzig 1917,
S. 216, 276-284, 74-75 u. 193-198.

⁴) l. c., S. 216 (cf. 74-75). კოლექტიურ შრომაში, რომელიც შუამდი-
ნარეს ეხება და რომელიც 1910 წელს გამოვიდა, სტრიგოვსკი გამოსავალ
წერტილად ჩრდილო მესოპოტამიას აღიარებს (Max V. Berchem et Josef
Strzygowski, Amida. Heidelberg 1910, p. 270).

⁵) l. c., p. 278.

და ბოლოს, უკანასკნელი დეკორატიული დეტალი ამ ეკლესიისა — განედლებული ჯვარი — მეტად დამახასიათებელი სამკაულია¹. ჩვენ აქ გვაქვს ჯვარი, რომლის ყოველ მხარსაც შემოვლებული აქვს პარალელური ხაზები; ბოლოებში ყოველი მხარი გაფართოვებულია, თითქოს კოზმიდი აქვსო. აქ მაშასადამე მხრები თან-და-თან არ ფართოვდება ბოლოებისაკენ. ამ ფორმით ეს ჯვარი ცხადია იმ ჯვრების ჯგუფში შედის, რომლებიც ცნობილია ქრისტიანული ხელოვნების უძველესი ძეგლებიდან, სახელდობრ IV - VI სს., როგორცაა მაგალითად ეკლესიის კედლის მხატვრობა წმ. პუდენციანისა რომში, ვალა პლაციდიის მავზოლეუმისა, წმ. ვიტალესი და წმ. აპოლინარისა in Classe რავენნაში, აგრეთვე რავენნის სარკოფაგებზე, წმ. აპოლინარი ახლის კანკელზე (ბალუსტრადაზე) და სხვა ძეგლებზე. ნაჩვენებ საერთო ფორმას ვარდა საყურადღებოა ორდღოლი განედლებული შტო ჯვრის ქვემოთ. ამის ანალოგიები (ორდღოლი განედლებული შტო) ჩვენ ვიცით მხოლოდ წრომის ტაძარში (ქართლში)². განედლებული ჯვრის გამოხატულება ძველ ქართულ ტაძრებში ნხოლოდ იშვიათად გვხვდება და თუმცაღა წრომსა და ვალეს ბაზილიკაში მათ საპატიო ადგილი უქირავთ ტაძრის საერთო სამკაულში, მაგრამ უმთავრესად ჩვენ მათ შემოახვევით ვხვდებით ტაძრების კედლებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ შემდეგში ამ გვარი ძველებური გამოხატულება ჯვრისა მოჰყვება ხოლომე ეკლესიის შენების დროს უმნიშვნელო ადგილზე, როგორც ამას ვხვდებით საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიაში. სომხეთში კი, პირიქით, ვითარდება მოგრძო ჯვარი სიკეტოიული ფორმისა, განედლებული ძირში, და აქ იგი ხმარებაშია მრავალი საუკუნის განმავლობაში. ეს უდეველია აიხსნება იმით, რომ სომხური ეკლესია არაფითარ ხატს არ სცნობს და შისთვის ჯვარი ერთად-ერთი მისაღები სიმბოლოა. ხოლო ქართულ ჯვრის სახის გუმბათიან ტაძრებში ჯვარი გუმბათის კამარის მუდმივ სამკაულად იქცა.

¹) Scherwinsky-ს მოჰყავს ცუდად შესრულებული ნახატი ამ ჯვრისა (l. c., Taf. 18, Abb. 8), ხოლო Strzygowski-ს (Die Baukunst der Armenier, S. 441, Abb. 483) ბუნდოვანი ფოტოგრაფიული სურათი მთელი ნიშისა.

²) სახელდობრ, სამხრეთის შესავლის ტიმპანში; ამას გარდა შეადრ. კიდევ სამხრეთის ფასადის ფრონტონში და და' ავლეთის შესავლის ტიმპანში.

ამ რიგად მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის გეგმისა და აგებულების თავისებურებათა და დეტალების განხილვა ეჭვ მიუტანლად გვარწმუნებს იმაში, რომ ეს შენობა ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ხანას ეკუთნის, რადგანაც აღნიშნული თვისებანი (ქვის მთლიელთა ნიშნები, ღარი ქვებსა და ქვებს შუა — „ფახი“) მხოლოდ მაშინ იყო დამახასიათებელი. შემდეგ ზოგიერთი თავისებურება (ჯვარისებური კამარა, მთელ-მთელი კვადრებისაგან ამოყვანილი კედლები, საგანგებო იშპოსტი, აკლდამები) თან-და-თან ქრება და მერმე სრულიად ისპობა. ეს გარემოება და აგრეთვე ორნამენტალური სამკაულების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს შენობა უძველესი ტიპის ჯვარისებურ გუმბათიან ტაძრებთან შედარებით უფრო ძველი დროის სამლოცველო შენობათა რიცხვს ეკუთნის და როგორც ასეთი იგი, ასე ვთქვათ, უკანასკნელი წარმომადგენელი უნდა იყოს. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გარჩევა დიად და მდიდრულად მორთულ სამლოცველო შენობებსა და სასახლეებს შორის: ამის დამამტკიცებელია მათი შესავალი და მაღალი იშპოსტი, აგრეთვე სამკაულების დეტალები, რაც მათ ძველ სპარსულ ხელოვნებასთან აახლოვებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი აგებულია, ვიდრე მის გვერდით დიდ ტაძარს ააშენებდენ. მაგრამ ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მათ დიდი დროის მანძილი არ უნდა ჰყოფდეს¹. ეს ჩვენი დასკვნა ჰპოულობს გამართლებას უძველეს მემკვიდრეთა ცნობებში: ქართლის მოქცევისა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. სწორედ ორთავე ეკლესიის ხუროთმოძღვრების მეცნიერულმა შესწავლამ საშუალება მოგვცა, რომ გავიგოთ ტექსტის ნამდვილი აზრი.

III.

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ქართლის მოქცევის ცნობა, რომ ვუარაზებ კურაპალატმა დადვა საფუძველი (resp. საძირკველი) ჰატიფსნისა ჟუარისა².

¹) J. Strzygowski-ს (Die Baukunst der Armenier, S. 241 u. 440) ჰგონია, რომ მცირე ეკლესია დიდ ტაძართან ერთად არის აშენებული და სურვილს გამოსთქვამს, რომ სხვა ეკლესიებთან ერთად იგიც გამოკვლეულ იქმნეს, რომ თავდაპირველად იგი სანათლავად ხომ არ იყო განკუთვნილი (daraufhin untersucht werden, ob bei ihnen nicht die Voraussetzungen für ein Baptisterium erfüllt sind).

²) Опис. II, 724=სამი ისტ. ბრ., 34=თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა... [I], ტფილისი 1892-93, გვ. 57.

ამასვე სწერს სუმბატ დავითის ძე თავის ქრონიკაში: და ამან [გუარამ] დადგა საფუძველი ჭუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას¹. იმავე ქრონიკებში შემდეგ ვკითხულობთ ასეთ შენიშვნებსაც: მისა [გუარამ დიდისა] შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ² მისი, ძმაჲ დემეტრესი; და იქმდა ეკლესიასა ჭუარისასა³; ხოლო სუმბატის ქრონიკაში: და შემდგომად ამის გუარამისასა ერისთავობდა ძე მისი სტეფანოზ და ძმა დემეტრესი; და აშენებდეს ეკლესიასა ჭუარის მცხეთას⁴. ორივე ცნობაში მხოლოდ ფაქტია გადმოცემული, რომ ტაძარს აშენებდენ, მათ შორის კი არავითარი კავშირი არ არის. ხოლო, როგორც ეს ჩვენ უკვე ვიცით მცირე ტაძრის განხილვიდან, ეს ცნობები სხვა-და-სხვა ტაძარს ეხება—პირველი მცირე ტაძარს, მეორე კი დიდს. ამას ამტკიცებს ორი შენობის შედარებაც და მათ შორის ურთიერთი დამოკიდებულებაც.

მცხეთის ჯვარის დიდი ტაძარი მრავლად არის შემკული აღმშენებელთა რელიეფური გამოსახულებით, მაგრამ მათ შორის არ არის გამოსახული ქრონიკაშიც მოხსენებული ორი აღმშენებლის შამა, გუარამი; იქ გამოსახულია სტეფანოზ, დემეტრე, აღრნერსე და სხვა წყაროებიდან უცნობი ქობოკლ, რომელიც ლოცვით მიჰმართავს წმ. სტეფანეს (აღბათ თავის პატრონს ქრისტიანული სახელით), მაგრამ არ არის გუარამი⁵. ეს ნათლად ამტკიცებს იმას, რომ დიდი ტაძარი გუარამის მიერ არ არის აშენებული; ამაში არავითარი ეჭვი არ არის. შემდეგ, ორივე ტაძრის ორიენტაციაც გვიჩვენებს, რომ ჯერ წყვილთ მცირე ტაძარი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მის ორიენტაციას შეუფარდებდენ დიდი ტაძრისას და არა მზის ამოსვლის ხაზს, რომელიც

1) შმ დდფ., 339¹¹⁻¹⁵ =სამი ისტ. ხრ., 45=ქრ., I, 57.

2) Опис. II, 724 =სამი ისტ. ხრ., 35=ქრონ., I, 58. მხოლოდ შატბერდის ხელთნაწერში, ქელიშურში, კი ამ ადგილას გამოტოვებულია.

3) შმ დდფ., 340³⁻⁵ =სამი ისტ. ხრ., 46=ქრონ., I, 68.

4) იხ. ტაბულები ივ. ჯავახიშვილის ქართულ ერის ისტორიის (ტფ. 1913 წ., 1²) ad pp. 218, 220, 224 და 244, და აგრეთვე მისი ევ. ისტორიის მეთოდები, წყაროები და მიზნები, წიგნი I, 1916 წ., გვ. 137, მეორე გამოც., 1921, გვ. 197.—„ქობოკლ“-ი გამოსახულია უკვე სა-მცხეთის შესავალზე, ესე იგი მეორე ხარისხოვან ადგილას; სამი პირველი მთავარი კი აღმოსავლეთის ფსადის ყველა რელიეფს ჰფარავს.

დესაც მისი შენება დაუწყიათ. ხოლო, როდესაც მცირე ტაძრის გვერდით დიადი და ბრწყინვალე შენობის აგებას შესდგომიან, პირიქით, აღარავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ არსებული პატარა შენობის ორიენტაციისათვის და მიმართულება ხელახლა აუღიათ. — დასასრულ კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი ამ დებულებისა. დიდი ტაძრის შენობის აგების დროს ხუროთმოძღვარი ანგარიშს უწევდა რეალურ მდგომარეობას. რთული დანაწევრება ფასადებისა მას საერთოდ დამთავრებულ და დასრულებულ სისტემად ჩამოუყალიბებია და თუმცა სხვა-და-სხვანაირად, მაგრამ რეალურ მდგომარეობასთან შეფარდებით შეუმკვია მხოლოდ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები მდიდრული და ნაირ-ნაირი ფიგურებითა და ორნამენტებით, რადგანაც მხოლოდ ეს ფასადები ჩანს როგორც შორიდან, ისე ახლოდან. დასავლეთის ფასადი მხოლოდ შორი მანძილიდან ჩანს ქ. მცხეთიდან, რადგანაც პირდაპირ მაღალ კლდეზეა გადამდგარი. ამიტომ ხუროთმოძღვარი დაკმაყოფილებულა იმით, რომ ფასადის მასა დაუწევრებია, სარკმლებიც გაუკეთებია, მაგრამ არავითარ სამკაულისათვის არ მიუმართავს. ჩრდილოეთით კი ფასადის მასა დაუნაწევრებია, მაგრამ სარკმლები არ გაუკეთებია: იქ არის მხოლოდ ტაძრის შესავალი კარი (ისიც დახურულია სტოით, რომელიც გამოსავალს წარმოადგენს მცირე ტაძრიდან) და ერთად-ერთი სარკმელი გუმბათის ყელის შესატყვის წახნაგში. დიდი ტაძრის ჩრდილო ფასადი მთლად დაფარულია მცირე ტაძრის ტანით ისე, რომ იგი არა ჩანს არც შორიდან და არც ახლოდან და ხუროთმოძღვარიც სწორედ ისე მოეპყრა ფასადს, როგორც ამას მოითხოვდა მისი ადგილ-მდებარეობა.

თუ რამდენად პასუხ საგები და ძნელი შესასრულებელი იყო ეს საქმე, გუარამის შვილმა სტეფანოზ მთავარმა რომ აიღო თავის თავზე, იქიდან ჩანს, რომ მან ვერ მოასწრო დიდი ტაძრის შენობის დამთავრება. ის დაამთავრა მის შემდეგ მეორე მთავარმა აგრეთვე სტეფანოზმა. «მოქცევაჲ ქართლისაჲ», როდესაც აღწერს VII საუკუნის ოციანი წლების ამბებს, გაკვრით აწვინებს, რომ ტფილისს სიონი განეშორა (resp. გაასრუდეს) მკვდრთა, ხოლო ჟუარისა ეკლესიას აკლდადა¹; სუმბატ დავითის ძეც სწერს: ტფილისის ეკლესია სიონი გაესრულა, ხო-

¹) Опис. II, 725=სამი ისტ. ხრ., გვ. 36=ქრონ., I, 66.

ღა ჯუარისა ეკლესიასა აკლდა¹. დასასრულ მცხეთის ჯვარის ტაძრის შესახებ ვკითხულობთ ქართლის მოქცევაში: და მისა [ერისთავისა ადრ-ნესესი] შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ შისი; და ამან განაშორა ჯუარისა ეკლესია; და დადვა კრებაჲ ჯუარისა ჯუარობისა ერთ თთუე². ისტორიკოსი ს უ მ ბ ა ტ ი თითქმის იმავე სიტყვებით იმეორებს ამ ცნობას: და მან [სტეფანოზ] განასრულა ეკლესია [ჯუარისა], და განაწესა მუნ ჯუარისა კრება³. მემატიანეთა ეს ცნობები რეალური შინაარსის მხრით სრულ და ნათელ მასალას არ წარმოადგენს. მათი გაგება დანამდვილებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ თვით რეალიების შესწავლით, თითოეული ტაძრის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ანალიზითა და მათი შედარებით. და სწორედ ამან მოგვცა საშუალება ქრონიკების ტექსტი გაგვეგო ისე, როგორც ზემოთ არის განმარტებული: საჭიროა კიდევ ისიც აღვნიშნოთ, რომ მემატიანეთა ცნობების ბუნდოვანებამ მე-XI საუკუნეში ათქმევინა **ჯ უ ა ნ შ ე რ ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა ნ ს**, რომ ეს ცნობები თითქოს ერთსა და იმავე შენობას ეხებოდეს. ასევე გაუგია ეს ძველი ქრონიკული წყაროების გამომცემელს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ა ც, რაიცა ჩანს მისი რუსული თარგმანიდან.

პირველ ცნობას შენობის აგების შესახებ (გუარამ კურაპალატის მიერ) **ჯ უ ა ნ შ ე რ მ ა** შემდეგი განმარტება დაურთო: და ამან [გუარამ] იწყო ეკლესიაჲ ჯუარის მატეოსნისა; და აქამომდე ჯუარი გელსა ზედა იყო; და ქმნა ეკლესია წელთაშდისი ოდენ⁴. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართლის მოქცევისა და ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ცნობათა პარაფრასმა შესაძლებელი გახდა დასვენა გამოეტანათ ამოყვანილი კედლების რეალური რაოდენობის შესახებ. შემდეგი ცნობებიც ვარიანტებს წარმოადგენს: ძმა სტეფანოზისი სახელით სტეფანე (resp. დემეტრე)

1) შშ დღფ. ქართ. ცხ., გვ. 341¹¹⁻¹² = სამი ისტ. ხრ., 48 = ქრონ., I, 68.

2) Опис. II, 726 = სამი ისტ. ხრ., გვ. 36 = ქრონ., I, 69.

3) შშ. დღფ. ქ. ცხ., 342¹⁻² = სამი ისტ. ხრ., 49 = ქრონ., I, 68.

4) შშ დღფლის ქ. ცხ., 192¹²⁻¹³ = ქართლის ცხოვრება, წიგნი I, მ. ბროსეს გამ., სპბ. 1849 წ., გვ. 164 = ქართლის ცხოვრება, წიგნი II, ტომი I, მეორე გამოცემა ზ. ქიკინაძისა, ტფილისი 1898, გვ. 235 (სიტყვები: ამან იწყო ეკლესიაჲ — შშ დღფლის ვარიანტში გამოტოვებულია) = HdIG, I, p. 222.

აღაშენებდა ეკლესიასა ჭუარის პატრიარქისა, რამეთუ სენიდა იყო: მისთვისა ბოროტი და გერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისა¹: კიდევ ქვევით: და ეკლესია ჭუარის პატრიარქისა და სიონი ტფილისისა გაესრულეს აღარნასე ქართლის მთავარსა², და დასასრულ: და მან [სტეფანოზ II] მოადგინა ზღუდენი ეკლესიასა ჭუარის პატრიარქისა და აღაშენა დარბაზი; და დაუწერა უფუგლთა კრება პარასკევთა; და მუნ შეკრბენ უფუგლნი ეპისკოპოსნი და მღუღენნი მის არისანი კათალიკოზსა თანა წინაშე პატრიარქისა ჭუარისა; აღდიან პარასკევი. ვითარცა დიდი პარასკევი³. აქ ჩვენ თვით თარიღების შეცვლასთან გვაქვს საქმე. ჯ უ ა ნ შ ე რ ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა ნ ი მოგვითხრობს, რომ ტაძრის შენობა აღარნასემ დაამთავრა, ხოლო მისმა შვილმა სტეფანოზმა ზღუდენი მოადგა მას და საცხოვრებელი დარბაზი ააშენაო⁴. რაც ახლა ტაძრის გალავანში საცხოვრებელი ბინების ნაშთებია დარჩენილი, სრულიად არ ამართლებს ამ ცნობას, თუ რომ დარბაზს მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით გაუიგებთ.

ამ რიგად უძველეს ქრონიკებში აღნიშნულია, რომ შენობა დაამთავრა სტეფანოზ მეორემ, აღარნასეს შვილმა, ხოლო ჯ უ ა ნ შ ე რ ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა ნ ი ამას თვით აღარნასეს მიაწერს. ეს გასაგებიც არის, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მისი აზრით ეს ცნობა ერთსა და იმავე ტაძარს ეხება: სტეფანოზს რომ დაემთავრებინა ტაძრის აშენება და არა აღარნასეს, გამოვიდოდა, რომ ტაძარი თითქმის მთელი საუკუნე შენდებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა ც ი ს ე გაიგო ქრონიკების ცნობები, თითქოს ის ერთ ტაძარს ეხებოდეს. გუარამის შვილის სტეფანოზის შესახებ მოყვანილ ცნობაში მან იქმონა- (ქართლის მოქცევაში) და აშენებდეს-იც (სუმბატის ქრონიკაში) ერთნაირად გადათარ-

¹) შშ დღდფლის ქართლ. ცხოვ., 194₁₋₂ = ბროსეს გამ., გვ. 165-166 = ზ. ქიკ. გამ., 237 = HdIG, I, 224.

²) შშ დღდფლ. ქართლ. ცხ., 196₁₁₋₁₃ = შ. ბროსეს გამ., გვ. 169 = ზ. ქიკ. გამ., 242 = HdIG, I, 231.

³) შშ დღდფ. ქ. ცხ., 197₆₋₁₁ = ბროსეს გამ., 169 = ზ. ქიკინ. გამ., 243 = HdIG., I, 232.

⁴) ეგრეთ წოდებულ Chronique arménienne-ში ამ ადგილას ზოგი რამ და მოტოვებულია. გამოტოვებულია სხვათა შორის ცნობები ჯვრის ტაძრებზე; მოხსენიებულია მხოლოდ დღესასწაულების დაწესება (Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, par M. Brosset. S.-Petersbourg 1851, p. 46-47).

გმნა—продолжалъ постройку¹. ნამყო უსრული კი, ავტორებს რომ აქვთ ნახმარი, რასაკვირველია, მხოლოდ მოქმედების ხანგრძლივობას აღნიშნავს. თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ იმას, თუ რას იძლევა რეალურად ჭეგლი, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ქრონიკების ცნობათა ასეთი გაგება სინამდვილეს არ შეეფერება და ამიტომ უკუგდებულ უნდა იქნეს. გუარამმა ააგო მცირე ტაძარი, ხოლო ძლიერმა კულტურულმა დაწინაურებამ აიძულა მისი შვილი, ხელი მიეყო ახალის გაკილებით უფრო დიდი შენობის აგებისათვის². ასეთი საქმის დაწყებას აიძულებდა სტეფანოზს მისი პირადი ცხოვრება³, რომელზედაც მოთხრობილია წმ. შიოს «მერვე სასწაულში»⁴. ამ მოთხრობით სტეფანოზი თავდაპირველად ეკლესიას ფრად ძვირსა უკაჟდა⁵. ხოლო მასზე მოწეული სასჯელის შემდეგ იგი დიდ სინანულს მიეცა და დიდად მორწმუნე ქრისტიანე შეიქმნა. იგი სინანულით მივიდა წმ. შიოს მონასტერში და აქ განიკურნა. და მასვე ჟამს დასწერა ჰროარტაგი და დამტკიცა კელითა თვისითა და წარჰსტა ეოველსა შინა ქუბუანსა ქართლისსა, რათა ეოველნი ეკლესიანი კანათაფისუფლენ მძღაფრებისაგან და ხარკის მიცემისა. ესრეთ ამიერიტგანცა აწყო სტეფანოზ კეთილის ეოფად ეკლესიასა და ჰატიფისა ჰერობად ებისკოპოსთა, მღუდელთა და მონაზონთა და ამანცა ფრადი აშენა ეკლესიასა ზელა ჟუარისსა, ეგრეთვე ცოდმან მისმან ფრადი საფასე მინიჭა წარსაკებელად მონასტერსა მამისა შიოსსა⁶.

ამ რიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის აგება უნდა მიეწეროს საქართველოში მე-VI საუკუნეში ახლად აღორძინებული სახელმწიფოებრივობის ერთ-ერთ პირველ წარმომად-

¹) Е. С. Табаишвили, Источники грузинских летописей. Тря хроники (*Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа*, вып. XXVIII), Тифлисъ 1900, стр. 44, 124.—აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა კი გადათარგმნა: и построилъ онъ церковь въ честь св. Креста (Источники по введению христіанства въ Грузію, с. 2, прим. 2—отд. отт. изъ *Древностей Восточныхъ Московск. Археол. Общества*, т. I, вып. 3, Москва 1893).

²) ამის საანალოგიოდ მე აღვნიშნავ ქ. ანისის ზღუდეების მოდგმას აშოტისა და შემდეგ მისი მემკვიდრის სუმბატის მიერ.

³) საქართველოს სამოთხე, შეკრებილი გ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ, პეტერბურლი 1882 წ., გვ. 256-258, გადმობეჭდილია თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ქრონიკებში (I, 59-61).

⁴) საქ. სამ., 256₂₀.

⁵) საქ. სამ., 258₁₃₋₁₈.

გენელთაგანს. ახლა მხოლოდ შევეცდებით უფრო ზედმიწევნით განვსაზღვროთ დრო, როდესაც ეს უნდა მომხდარიყო.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ პირველად შემუშავებული ქრონოლოგიით ზემოთ ხსენებული პირები მთავრობდნენ: გუარამი—575-600 წწ., სტეფანოზ I—600-619 წწ., ადარნერსე—619-639 წწ., სტეფანოზ II—639-663 წწ.¹ ხოლო ქართული ნუმიზმატიკისა და სხვა წყაროების საშუალებით შეიძლება ვახუშტის გამოკვლევებში არსებითი დამატებისა და შესწორების შეტანა².

პირველ ყოვლისა ჩვენ შევჩერდებით ნუმიზმატიკურ ცნობებზე, რომელთა საშუალებითაც შეიძლება სტეფანოზ I-ის მთავრობის თარიღის შესწორება. შემდეგ კი მივმართავთ წერილობით წყაროებს.

სასანურ-ქართული უძველესი ფულები, სადაც ჰორმიზდ IV-ის (579—590 წწ.) სურათის ზემოთ არსიაზე ქართული მონოგრამებია, ეკუთნის მისი მეფობის მეშვიდე წელს, ე. ი. 585—586 წწ.³; ამის შემდეგ გვხვდება ანონიმური ფულები მერვე წლის თარიღით ან კიდევ ისეთები, რომელთა თარიღიც გაურკვეველია და რომლებზედაც ემბლემად ჯვარია გამოსახული⁴. ამათ მოჰყვება ფულები, სადაც აგრეთვე

¹) ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, ტფ. 1885, გვ. IV და 106-114.

²) ნუმიზმატიკური ცნობების მნიშვნელობას ყურადღება მიაქცია ი. ბართოლომეშ (Lettres numismatiques et archéologiques, relatifs à la Transcaucasie, SPbg. 1859, p. 47 et 14), რომელიც სცდილობდა რაც შეიძლება ზედმიწევნით გამოერკვია სასანურ-ქართული ფულების ქრონოლოგია (l. c. 92). მას მოჰყავს ერთის მხრით დეტალი, რომელიც ადასტურებს, რომ სასანურ-ქართული ფულები მოჭრილი უნდა იყოს აღნიშნული წლის ნამდვილ სასანურებთან ერთად (l. c., p. 98, 13, 91, 96), ხოლო მეორეს მხრით მაგალითები მოჰყავს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ფულებზე დაგვიანებული თარიღია (pp. 14, 75-77, 97, 100). ე. პახომოვიც (Монеты Грузии, I, СПб. 1910, стр. 28-29, отд. отд. изъ *Зап. Нумизм. отд. И. Рус. Арх. Общ.*, томъ I, вып. IV) შეიტანა მხოლოდ ერთი ცვლილება ადარნერსეს გამთავრების თარიღში სტეფანოზის შემდეგ (619 წლის მაგიერ 626 წელი); დანარჩენი კი ყველაფერი უცვლელად დატოვა.

³) Е. А. Пахомовъ, l. c., стр. 16-19 и табл. I, №№ 8-13.

⁴) l. c., стр. 25-27 и табл. I, №№ 14-16.

ჯვრის ემბლემა მუდამ არის, და ამას გარდა სტეფანოზის სახელია ამო-
 კრილი ან სრული, ან შემოკლებული. ამ ნიმუშებს გარდა ქართულ-სა-
 სანური ფულები არ მოგვეპოვება. ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი აღიარებს, რომ
 ყველა ეს ქართულ-სასანური ფული «ერთსა და იმავე ზარათხანაში არის
 მოჭრილი»¹. სტეფანოზის ფულებს ზოგიერთი მათი დეტალების მიხედვით
 ფ. პ ა ხ ო მ ო ვ ი ო რ ჯგუფად ჰყოფს². ერთს მათგანს, რომელსაც ახასია-
 თებს ოთხი ასოსაგან შემდგარი შემოკლებული სახელი **სΦჩხ**, არშიაზე
 აქვს ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება და აგრეთვე მისი სახელის წარწე-
 რა; ხოლო მეორე მხარეს ფაქლაური თარიღი, ისიც შეცვლილი; პ ა რ-
 თ ო ლ ო მ ე ს ა და ლ ა ნ გ ლ უ ა ს აზრით ეს ჰორმიზდის მეფობის მე-12-ე
 წელს ეკუთვნის³. იმ ფულებს კი, რომელსაც სტეფანოზის სრული სა-
 ხელი აწერია **სԸԿΦԸჩო**, გამოსახულების ირგვლივ არავითარი ფაქ-
 ლაური წარწერა არა აქვს და არც თარიღი⁴. ეს ფულები «პატარა
 რგოლებისა, ახალი მთვარისა და ვარსკვლავების დალაგებით» ხოსრო
 II-ის (590—628 წწ.) ფულების პირს წარმოადგენს და არა ჰორმიზდ
 IV-ისას (579—590)⁵.

მაშასადამე უეჭველია, რომ არსებობს სტეფანოზ მთავრის ფულე-
 ბი ჰორმიზდ IV მეფობის უკანასკნელ წელს მოჭედილი (590 წელს),
 ხოლო დანარჩენი კი მოჭედილია უკვე ხოსრო II ფარვეზის (590—628
 წწ.) მეფობაში⁶. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სწორედ 591-607
 წლებში ივერიის დასავლეთი ნაწილი ტფილისამდე ბიზანტიის იმპერა-

¹) П а х о м о в ъ, I. с., стр. 27 და 23: вышли изъ одного и того же монетнаго двора.

²) I. с., стр. 34, 35.

³) I. с., стр. 28-29 и табл. I, № 18=Bartholomaei, Lettres num. et archéol., pl. I, № 4 და პარალელები (A და) B.; V. Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie. Paris 1860, p. 30 sqq..

⁴) I. с., стр. 30-32 и табл. I, № 17, табл. II, №№ 19-22.

⁵) I. с., стр. 36 и 35: по числу и расположению ободковъ и полумѣся-
 цевъ со звѣздочками; Barthol., I. с., pl. I, № 5 და სპარსული პარა-
 ლელები D და E.

⁶) ეს მეფე ქართლის ცხოვრებაში ცნობილია ა მ ბ ე რ ვ ე ზ ი ს სახე-
 ლით (შშ დღლ., 190).

ტორის მფარველობის ქვეშ იყო¹, ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ რატომ გაქრა სტეფანოზის მეორე ტიპის ფულებზე ფაქლათური წარწერები. აგრეთვე ადვილი ასახსნელია ისიც, რომ მალე სრულიად შეჩერდა საკუთარი ფულის მოქრა, სახელდობრ იმპერატორ ირაკლის ლაშქრობის დროიდან, როდესაც ივერთას აუარებელი ბიზანტიური ვერცხლის ფული მოაწყდა (ამ ფულებზედაც ჯვარი იყო გამოსახული)². ფულების სახე ამ გვარად ჩვენ ნათლად გვიჩვენებს ქართველ მთავართა ქრისტიანულ პოლიტიკას, რომელიც წამოყენებული იყო მათ მიერ სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ.

ამ რიგად ნუმისმატიკურა ცნობები გვაძლევენ ჩვენ მთელი ათი წლით გადავსწიოთ მე-VI საუკუნის ბოლოში სტეფანოზ I-ის მთავრობის დრო. და ჯ უ ა ნ შ ე რ ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა ნ ი ს მოთხრობაც ხომ ამას ამტკიცებს: მავრიკის დამხობა და ფოკასა და ქასრეს (ხუასროს) ომი 604 წლისა ისეა იქ მოთხრობილი, რომ მათ სტეფანოზ I-ის მთავრობის დასაწყისში არ უნდა ჰქონოდა ადგილი³.

¹) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, I², გვ. 214-215.

²) Bartholomaei. l. c., pp. 48-49, 63-64, 88, 91; Пахомовъ, l. c., стр. 30.

³) მარიამ დედ. ქ. ცხ., 193; HdIG., p. 224-225.

თ. გორდანი იხსენიებს ამა გარდა 590 წლის მახლობლად სტეფანეს, რომელიც მისი აზრით შეიძლება სტეფანოზი იყოს (ქრონ., I, 62-64, მე-130 შენიშვნაში; შეად. აგრეთვე შენ. მე-124, გვ. 57). ამ სტეფანეს მეგობრული კავშირი აქვს იმპერატორ მავრიკისთან. ცნობა ამოღებულია გულანდუხტის კხორებიდან, რომელიც დაიღუპა სპარსეთის ხუასრო მეფისაზე [532—579] და ორბიზდ მეფისაზე (579—590), სახელდობრ ბერძენთა მეფობის კონსტანტინეპოლის დროის-მსახურის მავრიკისსა წესსა მეცხრესა (590—591 წ.) (ქრონ., I, 62). ამ მოხაზვებულია, რომ ლეოლკილა ხუასრო II (ბაჰრამ ჩუბინის აჯანყების დროს 590 წელს) იმპერატორმა მავრიკიმ დადად დაასაჩუქრა სტეფანეს მიერ სენაკად მისა საუფლოდსა კაცისა, კაცისა დიდებულისა და პატარხისა, რომელი იურთ სტუმარ იქმნა წმიდისა მას მოწამისა (ქრონ. და სხ., I, გვ. 64 და 57. ცხობება დატულია ტფილისის საეკლესიო მუზეუმის № 95 დიდ კრებულში, რომელსაც მე-X საუკუნეს მიაკუთვნებენ: М. Жорданія, Описание рукописей тифлискаго церковнаго музея. I, Тифлисъ 1903, стр. 96, 107; წამებაჲ წმიდისა შუშანიისი, ს. რ. გორგაძის რედაქტორობით, ქუთაისი 1917 წ., გვ. 39. Monumenta Hagiographica Georgica,

თუ რა დრომდე მთავრობდა სტეფანოზი, ეს შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ 607 წლის იმ მიწერ-მოწერით, საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო განყოფას რომ უძღოდა წინ, კერძოდ გურგანის მარზაპანის სუმბატის და ივერიის კათალიკოზის კირიონის წერილებით¹. ამ მიწერ-მოწერაში მოხსენებულია მთავარი ატრნერსეჰ, ესე იგი ადრნერსე, რომელიც ორსავე უძველეს ქრონიკაში იხსენიება და ერთ-ერთ რელიგიუზედაც არის მოყვანილი, როგორც მცხეთის ჯვარის დიდი ტაძრის აღმშენებელი. თუმცა იქვე სხვა-და-სხვა კომბინაციებით საქართველოს სხვა ფეოდალებიც არიან მოხსენებული, მაგრამ ადრნერსე—ატრნერსეჰ ყველგან პირველ რიგში იხსენიება².

ამ გვარად თუ ჩვენ ასე ვთქვათ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 604—607 წლებს შუა სტეფანოზ I-ის შემდეგ ადრნერსემ მიიღო მთავრობა, მაშინ ჩვენი უძველეს ქრონიკების ცნობები იმის შესახებ, რომ ირაკლი იმპერატორის ლაშქრობის დროს სპარსეთში, ესე იგი ოციან წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრად სტეფანოზი იყო, სტეფანოზ II-ს უნდა მივაკუთნოთ. ცნობების ასეთი, ერთი შეხედვით შემთხვევითი, გადატანა უკვე შემჩნეულია უძველეს ქრონიკებში³. თუ მივიღებთ ამ შესწორებას სტეფანოზ II-ის გამთავრებისათვის, იმ შემთხვევაში ოცი წლით წინ უნდა იქმნეს გადაწეული ვ ა ხ უ შ ტ ი ს თ ა რ ი ლ ი. ამასთან ერთად ალბათ მისი მთავრობის დასრულების თარიღიც

pars I. Keimena, t. I. Sumptibus R. Acad. Sc. edidit Prof. C. Kekelidze, Tiflis 1918, p. XXXIV.

¹) *Григорий-ег. Историк* 1901, გვ. 133, 138, 168, 170, 174 და უხტანესი, *Историческая рачанман* *ქრანე ჰ ჯაიიე*, *ქაღარჯაყათ* 1871, გვ. 93, 95, 101-102, ან ფრანგული თარგმანი M. Brosset, SPbg. 1871, pp. 332, 333, 337. შეად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტ., I², 215.

²) საპიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ უკვე ნ. აკინიანმა ნუმინმატიკური ფაქტების მიხედვით დასკვნა გამოიტანა, რომ გუარამის მთავრობა გათავებულა 586 წ. (*სხრახა ასქინხან, ხიარჩან კაშაქტიი* *ქრანე, ადგაქან* *ქათხნაფარან*, 40, *ქახნან* 1910, მ. 29). სტეფანოზის მთავრობის წლებად იგი 596—599/600 წლებს ასახელებს; მისი შემკვიდრე იყო ადრნერსე (I. C., p. 30). —მეცნიერი მხითარისტის შრომიდან ამ ციტატების მოწოდებით ვალი დამლო ყოველთვის თავაზიანმა *ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ მ ა*.

³) შეად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მეთოდები და სხ., I, გვ. 7, 41, 42 (შუშანიკის შესახებ, ცამეტ ასუიელ მამათა შესახებ).

გადაიწევა¹. აღრნერსეს მთავრობა კი შედარებით ხანმოკლე გამოვა, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება მემატრიანეთა ცნობებს.

ჩვენ იძულებული ვიყავით ასეთი ექსკურსი მოგვეხდინა ქრონოლოგიაში, რათა რაც შეიძლებოდა უფრო გარკვეული ცნობები მიგველო სტეფანოზ I-ისა, აღრნერსესა და უმთავრესად გუარამის შესახებ. ქრონიკა მოქცევაჲ ქართლისაჲ მეტად ცოტა ცნობებს გვაძლევს სახელმწიფო წყობილების შინაგანი ცვლილებისა და მისი შექმნის პროცესის შესახებ. ვითარცა მეფობაჲ [ქართლისაჲ] დაესრულა, ქართლს შინა სპასხნი განძლიერდეს და ჰერეთი და სომხითი დაიპყრეს; ხალხ ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიონთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს². მაშინ სპასხნი უფლებდეს ქართლსა და სომხითსა და სიფიეთსა და გუას-ხორაგანსა.. და ნელადრს³ შეკრბა ქართლი და ერისთავ განახინეს გუარამ დიდი; ესე იყო პირველი ერისთავი. და შერმე კურაპალატადცა იყო³. ამ რიგად მოქცევაჲ ქართლისაჲ-ც აღნიშნავს, რომ ქართლი მალე ფეხზე ვერ წამომდგარა, რომ საკუთარი ორგანიზაციის მოწყობას შესდგომოდა. მართალია ამაზე ქრონიკაში მეტად ცოტაა ნათქვამი, მაგრამ მაინც რჩება ძლიერი შთაბეჭდილება, რომ პირველი ერისთავის გუარამის პიროვნებამ ითამაშა ამ საქმეში არა მცირე როლი; ტყუილად კი არ მიიღო მან მეტი სახელი დიდისა და როგორც განსაკუთრებული ჯილდო ბიზანტიის მხრივ მოხსენებულია, რომ მას მიცემული ჰქონდა წოდება კურაპალატისა. და მართლაც თუ 523 წელს (ყოველ შემთხვევაში 532 წელს უკვე საბოლოოდ)⁴ დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ, ჯერ კიდევ 15-20 წლის შემდეგ სპარსელების ბატონობა შეოზღუდველი იყო, რაც ჩანს ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ავტორის შენიშვნიდან, რომ 540-545 წელს უფლისა კაცისა ქართლისა მას [ტფილისში მყოფ ქართლისა მარზაპანს] კელეწიფების სიკუდილი და ცხოვრება⁵. და უცებ ამის

¹) ამ შემთხვევაში დიდი მანძილი იქნება სტეფანოზ II-ის გარდაცვალებიდან 688—9 წლამდე, როდესაც ქართლის მთავრად უკვე ნერსე იყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 349), იმ ოთხი მთავრისათვის, რომელთაც ამ დროს ასახელებენ (Опис. II, 726-727 და მშ დღვ. ქართლ. ცხ., გვ. 342).

²) Опис. II, 723 (ქელიშ. ხელთნაწერი).

³) Опис. II, 724 (ქელიშ. ხელთნაწერი).

⁴) ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, I², 196.

⁵) სიქ. სამ., გვ. 314 და Dschawachoff, Das Martyrium des hl. Eustatius von Mzchetha (Sitzungsberichte der kgl. preuss. Ak. d. Wiss., XXXVIII.

შემდეგ შექმნილ იქმნა საკუთარი ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლება, პირველში გინდ დამოკიდებული სპარსეთისაგან. ამავე გარემოებას უნდა მიეწეროს ალბათ საკუთარი ფულის უქონლობა მაშინ; იგი ჩნდება ბევრით გვიან მოწესრიგებული ეროვნული ხელისუფლების შექმნის შემდეგ.

დიდი ერისთავი გუარამი, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საძირკველი ამ ახალ სახელმწიფო წყობილებას, მთავრობდა 586 წლამდე, რადგან სწორედ 585—6 და 586—7 წლებია აღნიშნული მონოგრამებ ქვეშ ანუ მხოლოდ ჯვრის ემბლემით სასანაანთ დროის ქართულ ფულებზე, რომელნიც წარმოადგენენ ერთად ერთს მაჩვენებელს იმ წლებში მყოფ მთავრებისა და რომელნიც გვიჩვენებენ, რომ მაშინ გუარამი აღარა მთავრობდა. მისი მთავრობის დასაწყისი კი უნდა ვაკუთვნოთ 545 წლის შემდეგ დროსა.

ასე რომ ვახუშტის თარიღები ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ამნაირად: პირველი ერისთავი გუარამ დიდი კურაპალატი მთავრობდა 545 და 586 წლებს შუა. 590 წელში მთავრობდა უკვე სტეფანოზ I¹. 604 და 607 წლებს შუა იგი შეცვალა ადრნერსემ, ხოლო ეს შეცვალა დაახლოვებით 620 წელს სტეფანოზ II.

ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაწილი ცნობებისა მცხეთის ჯვართან საეკლესიო შენობათა აგების დროზე შეეხება პატარა ეკლესიას, ხოლო მეორე ნაწილი დიდ ეკლესიას. ინაე ხნის თითოეული მთავრის ქრონოლოგიის ცნობათა განხილვამ მოგვცა ნება დაგვედგინა ის დრო, როდესაც მთავრობდა გუარამი, რომელმაც ააშენა მცხეთის ჯვრის პატარა ეკლესია. ეს შენობა აგებულია დაახლოვებით მე-VI საუკუნის შუაში, სახელდობრ 545 და 586 წლებს შუა. თვით აგება მისი დაკავშირებულია ახალ სახელმწიფო წყობილებასთან, რომელიც

1901), S. 878 (Kap. V). დამახასიათებელია, რომ მცხეთის მეციხოვნეთა უფროსმა თავის თავი ვერ ცნა უფლებამოსილად, რომ საქმე გაერჩია.

1) თუ აქ ერთმანეთში არ არის არეული გუარამისა და გურგენის სახელები (უკანასკნელი სახელი მონოგრამაში). ასე არის არეული სახელები «მოქცევაჲ ქართლისაჲ» ში, V გუარამისა შატბერდის ხელთნაწერში, რასაც ქვლიშის ხელთნაწერში უდრის გურგენი. ასევეა სუმბატის ქრონიკაშიც (Опис. II, 727 და შშ დ.დფ., 342).

ჯერ კიდევ ეწყობოდა. ეს სავსებით გამოიხატა, როგორც ვნახეთ, თვით შენობის ხასიათშიაც. მთელი გარეგანი პოლიტიკა ამ ახალი სახელმწიფო ხელისუფლებისა გამოიხატება ქრისტიანული კულტურის ბრძოლაში ცეცხლთაყვანისმცემლობასთან, რომლის განსახიერებასაც კერძოდ სპარსეთი წარმოადგენდა. ქრისტიანობის შეჯიბრება ცეცხლთაყვანისმცემლობასთან და მათი მეტოქეობა აერთიანებდა საქართველოს არა მარტო სომხეთთან, არამედ ბიზანტიასთანაც და ექვს გარეშეა ამით იყო გამოწვეული ისიც, რომ ქართველი მთავრები ითვისებდნენ ბიზანტიურ საპატრიო ტიტულს. ფულის მოჭრის საქმეც უმჯობესდება და ამ მთავრები თან-და-თან თავისუფლდებიან სპარსეთისაგან, თუმცა პირველ ხანებში ფულს სპარსული სახისას სჭრიდნენ და ამაში სპარსეთის მეფესაც ემორჩილებოდნენ. ამავე თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენ საეკლესიო აღმშენებლობას. ევსტათი მცხეთელის ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ 544—5 წელს მცხეთის ჯვრის არც ერთი ტაძარი არ არსებობდა, ხოლო ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ კი იქ აღმართული იყო მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, და დიდი ტაძრის აშენებაც დაწყებულა: ჩვენ ხომ უკვე გამოვარკვიეთ, რომ ყოველ შემთხვევაში 590 წ. ივერიის მთავრად სტეფანოზ I იყო. მისი ტაძარი წარმოადგენდა დიად შენობას, რომლის აგება გრძელდებოდა ამ წელზე მეტს (604—607 წლებს შუა ის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული). სხვა სიტყვით, მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ დასრულდა პროცესი ახალი სახელმწიფო წყობილების შექმნისა და ეროვნული კულტურის თვით-აღმოჩენისა და გამოაშკარავებისა¹. და სწორედ მცხეთის ჯვრის დიდი საყდარი არის უმაღლესი და უაღრესად დამთავრებული გამოხატულება მხატვრის შემოქმედებისა იმ ხანაში ხუროთმოძღვრების დარგში. იგი გვიჩვენებს შემოქმედებითი საქმის სისრულესა და გარკვეულობას, რაც ამტკიცებს, თუ რა მაღალი და დამთავრებული მონაპოვრისათვის მიუღწევია მას. სულ სხვაა მცირე საყდრის აგებულების საქმე, იმ საყდრისა, რომელიც რაღაც ორმოცდაათიოდე წლის წინად იყო აშენებული

¹) მის ძეგლს წარმოადგენს სწორედ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, რომელიც არის იმ ხანის მხატვრულ შემოქმედების ტიპური და დამახასიათებელი ნაწარმოები, რომლის განხილვა შეადგენს უმთავრეს საგანს ჩვენ მიერ დამზადებულ მონოგრაფიულ გამოკვლევისას ამ ტიპის ჯვარ-გუმბათიან ტაძრების შესახებ.

და რომელიც დაწერილებით არის განხილული ამ შრომაში. ეს მცირე ტაძარი მცხეთის პატრიოსანი ჯვარისა არის გარდაშავალი ხანის შენობა, სადაც აგებულების ელემენტები და სადეკორაციო მოტივები უფრო ძველი განვითარების ხანისა გამოყენებულია ახლად წარმოშობილ ელემენტებთანა და მოტივებთან ერთად. ხუროთმოძღვარი მწორედ ძიებაში ყოფილა; კულტურის აყვავებასა და გაშლას მისთვისაც მოუთხოვია არქიტექტურული ფორმების დამოუკიდებლად განვითარება და ისიც ცდილა ეს მოთხოვნილება ხათანადოდ შეესრულებინა, მაგრამ ის კიდევ ვერ ყოფილა იმდენად მომზადებული, რომ არქიტექტურულად დასრულებული და დამთავრებული რომ შეექმნა. მაშინაც ასე თუ შეგვიძლია ამ შენობის თავისებურებათა გაგება, როდესაც მათ დიდი ტაძრის თავისებურებასთან ვადარებთ.
